ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

სპეციალური ანგარიში

თბილისი

2021

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ 4
2. მონიტორინგის მექანიზმი და ნინოწმინდის პანსიონის მხრიდან აღნიშნული ვალდებულების დარღვევა 9
3. პანსიონში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დარღვევა 12
3.1. განათლება და სოციალიზაცია 12
3.2. კვება და ჯანმრთელობის დაცვა 15
4. ძალადობისგან დაცვა 18
5. პანსიონის აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები 23
6. პანსიონთან დაკავშირებით არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დავები 29
7. პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების უფლებრივი მდგომარეობა 34
8. პანსიონში ამჟამად მცხოვრები არასრულწლოვნების მდგომარეობა და მათთვის ზრუნვის ალტერნატიული ფორმის განსაზღვრა 35
რეკომენდაციები 38

შესავალი

თითოეული არასრულწლოვნის უფლებაა, იზრდებოდეს საკუთარ ოჯახში და იმ შემთხვევაში, თუ ეს შეუძლებელია ან ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს მისი გადაყვანა ზრუნვის ისეთ ფორმაში, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ოჯახურ გარემოსთან.[1] დიდი ზომის ინსტიტუციური ხასიათის დაწესებულებები, რომლებიც საქართველოში დღემდე ფუნქციონირებს, არსებითად შეუსაბამოა ამ პრინციპთან და წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან.

სპეციალურ ანგარიშში განხილულია ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის[2] აღსაზრდელთა არაერთი უფლებადარღვევისა და მათ მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტები, რომლებიც კიდევ ერთხელ, ცალსახად მიუთითებს სახელმწიფო ზრუნვის კუთხით ქვეყანაში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი მუდმივ რეჟიმში შეისწავლის ნინოწმინდის პანსიონში არსებულ მდგომარეობას, მისი ყოფილი აღსაზრდელების უფლებრივ მდგომარეობასა და დაწესებულებაში ამჟამად მცხოვრები ბავშვების საჭიროებებს. ამასთან დაკავშირებით, სახალხო დამცველს კომუნიკაცია ჰქონდა ყველა შესაბამის უწყებასთან, ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებთან. საგულისხმოა, რომ საკითხის შესწავლის შედეგები ცალსახად მიუთითებს ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემურ დარღვევებზე, არასრულწლოვანთა მიმართ წლების მანძილზე დამამცირებელ, არაადამიანურ და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობაზე. ამასთან, საგულისხმოა, რომ დაწესებულებაში დაცული არ ყოფილა ბავშვების ჯანმრთელობა, მათი ფსიქოემოციური მდგომარეობა, ბავშვებს არ ჰქონდათ სათანადო კვება, ხელი არ ეწყობოდა მათ ასაკის შესაბამისად განვითარებასა და განათლებას, ისინი ფაქტობრივად იზოლირებულნი იყვნენ გარე სამყაროსგან, რამაც, საბოლოო ჯამში, არასრულწლოვნები განსაკუთრებულად მოწყვლადები გახადა მათ მიმართ განხორციელებული ძალადობისა და უგულებელყოფის ფაქტების მიმართ, რაც, საბოლოო ჯამში, აისახა მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზაობის ასპექტებზეც.

სპეციალურ ანგარიშში განხილულია სახალხო დამცველის აპარატის მიერ პანსიონის აღსაზრდელთა დაცვის მიზნით განხორციელებული თითოეული მოქმედება და მიღებული შედეგი. ამასთანავე, მოცემულია არასრულწლოვნების მდგომარეობის შესახებ ყველა შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის, უფლების დაცვის ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებთან თანამშრომლობის, სისხლის სამართლის საქმეების მასალების გაცნობის, დაწესებულების ამჟამინდელ და ყოფილ აღსაზრდელებთან გასაუბრების, სოციალურ მუშაკებთან ჩატარებული ინტერვიუების, პანსიონის წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და შენობის ფიზიკური გარემოს დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაცია. სპეციალური ანგარიში ასევე მოიცავს ნინოწმინდის პანსიონის ყოფილ და ამჟამინდელ აღსაზრდელთა უფლებების დაცვის მიზნით

[1] United Nations Convention on the Rights of the Child, 1990, preamble; ასევე, იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019, მუხლები: 24, 29.

[2] პანსიონის ძველი სახელწოდება: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატი.

სახალხო დამცველის მიერ ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყებისადმი გაცემულ რეკომენდაციებს.

1. ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სამართლებრივი რეგულირება

2016 წლიდან, მას შემდეგ, რაც „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქცია შევიდა ძალაში, სავალდებულო გახდა ყველა იმ დაწესებულების ლიცენზირება, რომელიც ბავშვზე ზრუნვას ახორციელებდა. სწორედ, აღნიშნულის საფუძველზე ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონმა „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სააგენტოს მიერ 2016 წელს მიიღო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია. აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს „ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებით" დადგენილ მოთხოვნებს და ექვემდებარება ბავშვზე ზრუნვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, ბავშვის უფლებათა კოდექსს და მის საფუძველზე არსებულ მონიტორინგის ყველა მექანიზმს.[3] მოცემული მოთხოვნის დარღვევა იწვევს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას, მათ შორის, დაწესებულების დაჯარიმებას ან მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით, ლიცენზიის გაუქმებას.[4] ანგარიშის შემდგომი თავები სწორედ ამ ვალდებულებების, მათ შორის, ბავშვზე ზრუნვის კონკრეტული სტანდარტების დარღვევისა და მონიტორინგის მექანიზმის ხელშეშლის საკითხებს განიხილავს.

ინფორმაცია ნინოწმინდის პანსიონის შესახებ

ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი ბავშვზე ზრუნვის განმახორციელებელი რეზიდენტული დაწესებულებაა, რომელსაც ლიცენზია 2016 წლიდან მიენიჭა.[5] პანსიონი 24-საათიან მომსახურებას აწვდის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვნებს. პანსიონში ბოლოს ბავშვები 2016 წელს ჩაირიცხნენ (დაწესებულებაში ჩაირიცხა 127 აღსაზრდელი). მთელი ამ დროის განმავლობაში პანსიონში მცხოვრებ მხოლოდ 19 არასრულწლოვანთან იმუშავა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფსიქოლოგმა.[6]

2016-2021 წლებში, 2021 წლის მაისის მონაცემებით, პანსიონატიდან ამოირიცხა სულ 71 აღსაზრდელი: 36 ბავშვი ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა, 24 სრულწლოვანების საფუძველზე

[3] „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონი, 2016 წელი, მუხლი 6.
[4] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონი, 2005 წელი, მუხლი 22.
[5] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/4344, 28/05/2021.
[6] იქვე.

ამოირიცხა; ერთს მზრუნველი დაენიშნა; ოთხი აღსაზრდელი მინდობით ოჯახში განთავსდა, ხოლო ექვსი აღსაზრდელი მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადავიდა.[7]

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციით, 2021 წლის 28 მაისის მონაცემებით, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ მიეცათ პანსიონში შესვლის შესაძლებლობა, დაწესებულებაში 56 აღსაზრდელი ირიცხებოდა, მათგან 8 არასრულწლოვანს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი ჰქონდა.[8] საგულისხმოა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები 24 საათის განმავლობაში იმყოფებიან დაწესებულებაში და აფასებენ არასრულწლოვნების საჭიროებებს. თუმცა, პანსიონის აღსაზრდელების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებისა და ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზრუნვის ალტერნატიულ, ოჯახთან მიმსგავსებულ სერვისში გადაყვანის მიზნით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკების უკვე ექვსთვიანი მუშაობის მიუხედავად, 2021 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, როდესაც სახალხო დამცველის რწმუნებულებმა მონიტორინგი ჩაატარეს ნინოწმინდის პანსიონში, დაწესებულებაში ფიზიკურად იმყოფებოდა სულ 14 არასრულწლოვანი,[9] ხოლო 22 ნოემბრის მონაცემებით, დაწესებულებაში კვლავ ირიცხება 17 აღსაზრდელი, რომელთაგან 15 ფაქტობრივადაც პანსიონში ცხოვრობს.[10] აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდის პანსიონში ამჟამად მცხოვრებ ერთ არასრულწლოვანს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, რომელიც 2015 წელს მიენიჭა. პანსიონში მცხოვრები ყველა არასრულწლოვანი სასკოლო ასაკისაა და ირიცხება ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში.[11]

ნინოწმინდის პანსიონი არაერთხელ დაჯარიმდა ტექნიკური რეგლამენტის - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დებულებებისა და სალიცენზიო პირობების დარღვევის საფუძველზე. კერძოდ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ 2017 და 2018 წლებში დაწესებულების მონიტორინგისას გამოვლინდა დარღვევები სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების დოკუმენტის არქონის, არასრულწლოვანთა კვების, დასვენების,

---

[7] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მიღებული კორესპონდენცია №07/4344 – 28/05/2021.

[8] დაწესებულებაში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობის შესახებ ოფიციალურად გავრცელებული და მოწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტისა და მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვების რაოდენობა არ შეესაბამებოდა რეალობას, კერძოდ, დაწესებულებაში მოცემულ პერიოდში იმაზე მეტი აღსაზრდელი იმყოფებოდა, ვიდრე ოფიციალურ წყაროებში იყო ასახული.

[9] აქედან ერთი აღსაზრდელი სამედიცინო ჩარევის შემდგომი სარეაბილიტაციო კურსს გადიოდა თბილისში, სადაც 24 საათის განმავლობაში თან ახლდა აღმზრდელი.

[10] 2021 წლის 13 სექტემბერს და 22 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა განახორციელეს ნინოწმინდის პანსიონის მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც, როგორც დაწესებულების თანამშრომლის, ასევე, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლისგან მიიღეს ინფორმაცია პანსიონში მცხოვრები და ჩარიცხული ბავშვების რაოდენობის შესახებ. 2021 წლის 13 სექტემბრის მონაცემებით, პანსიონში ოფიციალურად კვლავ ირიცხებოდა 24 არასრულწლოვანი, ხოლო 14 მათგანი ფაქტობრივად ცხოვრობდა დაწესებულებაში. 2021 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული მონიტორინგის თანახმად, 17 არასრულწლოვანი ირიცხება ნინოწმინდის პანსიონში, 2 მათგანი ფაქტობრივად აღარ ცხოვრობს დაწესებულებაში, ამჟამად მიმდინარეობს მათი ამორიცხვის პროცედურები.

[11] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/4344, 28/05/2021; ასევე, 2021 წლის 22 ნოემბერს ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლასა და პანსიონში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

დაავადებებისგან დაცვისა და ოთახებში აღსაზრდელთა განთავსების ზღვრული რაოდენობის გადაჭარბების საფუძველზე.[12]

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა, პანსიონის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების გამო, 11 თვის განმავლობაში, 2020 წლის ივნისიდან 2021 წლის აპრილამდე, ვერ მოახერხა დაწესებულებაში მონიტორინგის ჩატარება. სოციალურ მუშაკს, მხოლოდ 2021 წლის 26 აპრილს, მას შემდეგ მიეცა დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა, რაც სახალხო დამცველმა პრობლემა გაასაჯაროვა და შესაბამის უწყებებს მიმართა.[13] თუმცა, ამ შემთხვევაშიც, სოციალური მუშაკის ვიზიტი ფორმალური ხასიათის იყო, მან ვერ შეძლო დაწესებულების სრულფასოვანი მონიტორინგი, მათ შორის, პანსიონის დოკუმენტაციის გაცნობა და ბავშვებთან აღმზრდელებისგან განცალკევებით, ინდივიდუალურად გასაუბრება.

პანსიონში ბავშვის უფლებების სისტემურ დარღვევებსა და ცხოვრების არასათანადო პირობებზე მიუთითებს წლების განმავლობაში, სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგებიც. კერძოდ, სახალხო დამცველის 2015 და 2018 წლების სპეციალურ ანგარიშებშიც აღნიშნულია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არ ატარებს პანსიონებში მცხოვრები ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის სრულფასოვან მონიტორინგს. ანგარიშებში არაერთხელ მიეთითა, რომ პანსიონებში ბავშვებს უმეტესად არ აქვთ საკუთარი აზრის, შეხედულების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა. დაწესებულებებში არსებული შეზღუდვები, მისი ინსტიტუციური მოწყობა და არასრულწლოვანთა დიდი რაოდენობა ნაკლებად ქმნის ოჯახთან მიახლოებულ ინკლუზიურ გარემოს.[14] ამასთანავე, პანსიონში არსებული დასჯის ფორმები და აღზრდის მკაცრი წესი არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს. 2015 და 2018 წლებშიც გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო დოკუმენტაციის წარმოებასა და ინფორმაციის აღრიცხვასთან დაკავშირებული პრობლემები.[15] სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგმა ასევე გამოავლინა, რომ პანსიონის ბენეფიციარებს ჰქონდათ პრობლემები ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხითაც, თუმცა არ მიმდინარეობდა მათი სათანადოდ შეფასება და საჭირო სერვისებით უზრუნველყოფა.[16]

ნინოწმინდის პანსიონში ამჟამად არსებული მდგომარეობა

როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის მაისის მოცემულობით, დაწესებულებაში 8 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი ცხოვრობდა. თუმცა, 2021 წლის 13 სექტემბერს

[12] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/6875, 13/05/2021.

[13] ამ შემთხვევაში იგულისხმება 11-თვიანი უმოქმედობის შემდგომ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნინოწმინდის ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკის პირველი ვიზიტი ნინოწმინდის პანსიონში. მანამ, სანამ 2021 წლის ივნისიდან დაწესებულებაში სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები 24-საათიან მორიგეობას დაიწყებდნენ.

[14] სპეციალური ანგარიში, „ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი - ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა", 2018 წელი, გვ. 45.
ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2019051414365614815.pdf [ბოლოს ნანახია: 01/06/2021].

[15] იქვე გვ. 46, ასევე იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა პანსიონებში", 2015 წელი, გვ. 11.
ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2019040514142996306.pdf [ბოლოს ნანახია: 01/06/2021].

[16] იქვე, გვ. 14.

ჩატარებული მონიტორინგისას,[17] სახალხო დამცველის რწმუნებულებს, დაწესებულების თანამშრომლისგან ეცნობათ და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თანამშრომლებთან არაერთი კომუნიკაციის ფარგლებშიც განემარტათ, რომ დაწესებულებაში მცხოვრებ არცერთ აღსაზრდელს არ ჰქონდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. 2021 წლის 13 სექტემბრის მონაცემებით, როგორც პანსიონის წარმომადგენელმა აღნიშნა, ერთი ფიზიკური შეზღუდვის მქონე არასრულწლოვანი კვლავ ირიცხებოდა პანსიონში, მაგრამ მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი არ ჰქონია. ეს სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის სოციალურმა მუშაკმაც დაადასტურა. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა აღიშნული შემთხვევა, ქონდა კომუნიკაცია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან და გამოითხოვა არასრულწლოვნის დოკუმენტაცია,[18] რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ ბავშვი 2020 წლის 28 იანვარს შეაფასეს და მას ამავე თარიღით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მიენიჭა. ხოლო, მისი ნინოწმინდის პანსიონიდან ამორიცხვისა და ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანის გადაწყვეტილება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს რეგიონულმა საბჭომ მხოლოდ 2021 წლის 24 სექტემბერს მიიღო. მაშინ, როდესაც 2021 წლის 5 ივნისიდან, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პანსიონიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები დაუყოვნებლივ უნდა ამოერიცხათ.

შემაშფოთებელია ისიც, რომ 2021 წლის 22 ნოემბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულების პანსიონში ვიზიტისას, არასრულწლოვანთა ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესწავლის შედეგად, დადასტურდა, რომ პანსიონში ამჟამადაც ირიცხება სხვა აღსაზრდელი, რომელსაც 2015 წელს მიენიჭა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი.[19] არასრულწლოვნის მდგომარეობა ბოლოს 2020 წლის 31 იანვარს შეაფასეს.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, პანსიონში დაწესებულების ხელმძღვანელობის შეცვლის შემდგომ, მოხდა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება შესაბამისი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ. ამასთან, დაწესებულებამ გაწერა მენიუ, რომელიც მოიცავს ოთხკომპონენტიან კვებას და პანსიონის თანამშრომელთა აზრით, აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია არასრულწლოვნების აზრი. დაწესებულება არასრულწლოვნებს უზრუნველყოფს სეზონის შესაბამისი სამოსით და გოგოებს აღარ ეკრძალებათ, სურვილის შემთხვევაში, შარვლის ჩაცმა. ბავშვებს გადაეცათ კომპიუტერული და გასართობი ტექნიკა. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები, ასევე უზრუნველყოფილ იქნენ დასვენება-გაჯანსაღების შესაძლებლობით, კერძოდ, მათ 2021 წლის სექტემბერში დაისვენეს ზღვისპირა კურორტზე. დამატებით, არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვნებს ეძლევათ სკოლაში დამოუკიდებლად სიარულისა და სურვილისებრ, დაწესებულების ტერიტორიის დატოვების და სოციალიზაციის შესაძლებლობა, მათი ასაკისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით. მიუხედავად აღნიშნულისა, პანსიონში კვლავაც არაერთი გამოწვევაა, როგორც დაწესებულების და აღსაზრდელთა დოკუმენტაციის წარმოების, ისე არასრულწლოვანთა ინდივიდუალური, მათ შორის, ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასებისა და უზრუნველყოფის კუთხით. პანსიონში მცხოვრებ ბავშვებთან საჭიროა მხარდამჭერი პროფესიების მქონე სპეციალისტების,

[17] 2021 წლის 13 სექტემბერს ჩატარებული ვიზიტისას, დაწესებულებაში კოვიდ ინფიცირების შემთხვევის გამო მოქმედებდა კარანტინი, რის გამოც ადგილზე ვერ მოხერხდა არასრულწლოვანთა დოკუმენტაციის შესწავლა.

[18] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07-22-3-39489 – 29/10/2021.

[19] არასრულწლოვნის მდგომარეობა ბოლოს 2020 წლის 31 იანვარს შეაფასეს.

მათ შორის, ფსიქოლოგის განგრძობითი ჩართულობა, რაც ამ დრომდე არ მომხდარა. თავად პანსიონის მიერ მოწვეული ფსიქოლოგი დაწესებულებას სულ ორჯერ ეწვია. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს კი, ფსიქოლოგის და ფსიქიატრიული მომსახურების შესახებ მათ მიერვე გამოკვეთილი საჭიროების მიუხედავად, ეს საჭიროება არ დაუკმაყოფილებია.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

2021 წლის აპრილიდან, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის აპარატს, სახელმწიფოში ბავშვის უფლებათა რეალიზებისა და დაცვის მონიტორინგის განმახორციელებელ მთავარ დამოუკიდებელ ორგანოს, არ მისცეს დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა, პანსიონში მცხოვრები ბავშვების ინტერესების დასაცავად, სახალხო დამცველის აპარატმა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, სასამართლოს და საერთაშორისო ორგანიზაციას მიმართა.

სახალხო დამცველის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის მოთხოვნით და პანსიონში მყოფი არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატიდან, ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან, მათ შორის, საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან, ჯამში 30 კორესპონდენცია გაიგზავნა.

2021 წლის აპრილიდან დღემდე, გარდა პანსიონში ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით არსებული სისტემური პრობლემების შესწავლისა, სახალხო დამცველი შეისწავლის პანსიონში ბავშვის სავარაუდო უფლებადარღვევის ათამდე ინდივიდუალურ შემთხვევას, ასევე, დაწესებულების ამჟამინდელი აღსაზრდელებისა და პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების უფლებრივ მდგომარეობას. აპარატმა უკვე მიმართა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას და კონკრეტულად, ყოფილი აღსაზრდელების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ გასცა ორი ინდივიდუალური რეკომენდაცია და ერთი წინადადება.[20]

სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი მოსაზრება წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაციის, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სარჩელთან დაკავშირებით. ასევე, საკუთარი მოსაზრება წარადგინა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციის, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადმიანის უფლებებისთვის", საჩივრის განხილვა. ამასთანავე, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა გაეროს წამების პრევენციის კომიტეტს, რომელსაც აცნობა ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო, წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებული მოქმედებების შესახებ.

2021 წლის 17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველი შეხვდა ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის ახალ ხელმძღვანელს. შეხვედრისას განიხილეს პანსიონში არსებული ვითარება და სამომავლო ხედვები. მათ შორის, შედგა შეთანხმება, რომ სოციალური მუშაკები დაწესებულებაში

[20] სახალხო დამცველმა ორი რეკომენდაცია გასცა სსიპ სახელწმიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოს მიმართ და მიმდინარეობს მუშაობა წინადადებაზე, რომელიც მიემართება საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

ინტენსიურად იმუშავებდნენ პანსიონში დარჩენილი ბავშვების საჭიროებების შესაფასებლად, ხოლო სახალხო დამცველი ამ პროცესს მონიტორინგს გაუწევდა.[21] შემდგომ, 2021 წლის 28 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები ეწვივნენ ნინოწმინდის პანსიონს. ვიზიტის ფარგლებში სახალხო დამცველი შეხვდა პანსიონის ხელმძღვანელს, დაათვალიერა დაწესებულება და გაეცნო ბავშვებს, ხოლო სახალხო დამცველის თანამშრომლებმა შეისწავლეს პანსიონში არსებული დოკუმენტაცია და ფსიქოლოგის მონაწილეობით გაესაუბრნენ არასრულწლოვნებს. შემდგომი მონიტორინგი 2021 წლის 13 სექტემბერსა და 22 ნოემბერს ჩატარდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ასევე დეტალურად შეისწავლეს ნინოწმინდის პანსიონში არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე თითოეული სისხლის სამართლის საქმის სრული მასალა. ამჟამად, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის 4 საქმეზე, აქედან სამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით, ხოლო ერთ საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით.

სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს პანსიონში ამჟამად მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნების და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანის პროცესის მჭიდრო მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, სახალხო დამცველის აპარატის მხრიდან, გრძელდება ნინოწმინდის პანსიონიდან გასული თითოეული არასრულწლოვნის უფლებრივი მდგომარეობის განგრძობითი შეფასება.

2. მონიტორინგის მექანიზმი და ნინოწმინდის პანსიონის მხრიდან აღნიშნული ვალდებულების დარღვევა

ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი, როგორც ბავშვზე ზრუნვის ლიცენზირებული დაწესებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მონიტორინგის მექანიზმებს ექვემდებარება. პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნები სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირები არიან, რომელთა ზრუნვაზე, უფლებების განუხრელ დაცვასა და მათ რეალიზებაზე უშუალო და უპირველესი ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 34-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, პერიოდულობით, არანაკლებ 3 თვისა, ჩაატაროს ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის მდგომარეობის მონიტორინგი და მათზე გაწეული ზრუნვის სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ამასთანავე, „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი პირდაპირ მიუთითებს, რომ დაწესებულება უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებით დადგენილ ვალდებულებას. ხოლო, ბავშვზე ზრუნვის პირველი სტანდარტის თანახმად, მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია მონიტორინგის განმახორციელებელს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, სახალხო დამცველის აპარატს და სალიცენზიო

[21] წყარო: https://bit.ly/3iBtvYh [ბოლოს ნანახია: 06/10/2021].

პირობების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ უწყებას, წარუდგინოს, როგორც დაწესებულების, ისე აღსაზრდელთა შესახებ წარმოებული დოკუმენტაცია.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველი ქვეყანაში ბავშვის უფლებების დაცვის მონიტორინგსა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოა. ამავე კანონის 97-ე მუხლი პირდაპირ გაწერს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას ნებისმიერი უწყების, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. ამასთანავე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი ზედამხედველობს ქვეყნის ტერიტორიასა და მის იურიდიულ ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას. ხოლო ამავე კანონის მე-18 მუხლი გაწერს სახალხო დამცველის მიერ მონიტორინგის ჩატარების, ნებისმიერი სახის ინფორმაციის, დოკუმენტაციის გამოთხოვის უფლებამოსილებას და მისი მიღების წესს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სამართლებრივი საფუძვლებისა, როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის მონიტორინგის შესაძლებლობა 2021 წლის 15 აპრილსა და 19 მაისს არ მიეცათ. ხოლო სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სოციალურ მუშაკს, 2020 წლის 20 ივნისიდან 2021 წლის აპრილის ბოლომდე არ ჰქონდა დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა. ამას ადასტურებს როგორც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან მიღებული 2020 წლის 4 დეკემბრის კორესპონდენცია, ისე სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში დასაქმებული სოციალური მუშაკის ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია. პანსიონატში ვიზიტების განხორციელებასთან დაკავშირებით, სატელეფონო საუბარი ნინოწმინდის რაიონული წარმომადგენლობის სოციალურ მუშაკსა და პანსიონატის ზედამხედველს შორის, მხოლოდ 2021 წლის 19 აპრილს გაიმართა. პანსიონატის ზედამხედველმა აღნიშნა, რომ სოციალურ მუშაკს დაბრკოლება არ შეექმნებოდა.[22] სოციალური მუშაკი დაწესებულებას პირველი ვიზიტით 2021 წლის 26 აპრილს ეწვია.

2021 წლის 19 მაისს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ვიზიტისას, სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ სახელმწიფო სოციალურ მუშაკს, რომელთან საუბრისასაც გაირკვა, რომ მას დაწესებულებაში შესვლისას არ ეძლეოდა სრულფასოვანი მონიტორინგის ჩატარების საშუალება, მათ შორის, პანსიონის იმ დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა, რომლის წარმოებისა და წარდგენის ვალდებულება დაწესებულებას სახელმწიფო ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე ენიჭება.[23] სოციალური მუშაკი, დაწესებულებაში ვიზიტისას, არც ინდივიდუალურად, აღმზრდელთაგან განცალკევებით გასაუბრებია ბენეფიციარებს. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ სააღმზრდელო დაწესებულებაში თითქმის ერთ წლის განმავლობაში სააგენტოს სოციალური მუშაკის არშეშვება წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობისა და ბავშვზე ზრუნვის ტექნიკური რეგლამენტის უშუალო დარღვევას, ვერც სოციალური მუშაკის მიერ 2021 წლის აპრილში ჩატარებული მონიტორინგი ჩაითვლება ეფექტიანად და დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

[22] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/4343, 28/05/2021.

[23] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 15 იანვარი, მუხლი 1.

საგულისხმოა, რომ მუნიციპალიტეტში სახალხო დამცველის რწმუნებულების ვიზიტის დღეს, 2021 წლის 19 მაისს, პანსიონის არცერთი ბენეფიციარი არ გამოცხადებულა სკოლაში. თუმცა, ბავშვების სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზზე ინფორმაცია არც სკოლის ადმინისტრაციას და არც სოციალურ მუშაკს არ ჰქონია, რომელსაც ამის შესახებ სახალხო დამცველის რწმუნებულებისგან ეცნობა, რაც დაწესებულების აღმზრდელებს, სკოლის ადმინისტრაციასა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შორის კომუნიკაციის პრობლემაზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში[24] პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანზე მზრუნველობის განხორციელებისას ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავებისა და მასში გაწერილი ღონისძიებების მიხედვით მოქმედების ვალდებულება. სწორედ, ინდივიდუალური განვითარების გეგმის მიხედვით უნდა წარიმართოს არასრულწლოვანზე ზრუნვა. ბავშვზე ზრუნვის მე-4 სტანდარტის მიხედვით, გეგმა უნდა მუშავდებოდეს 6 თვეში ერთხელ და მის შემუშავებაში სოციალურ მუშაკთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ მულტიდისციპლინური გუნდი, დაწესებულებების აღმზრდელები და თავად არასრულწლოვანი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სოციალურ მუშაკს, რომელიც სახელმწიფო ზრუნვაში არსებული ბავშვების კანონიერი წარმომადგენელია, 11 თვის განმავლობაში არ ეძლეოდა დაწესებულებაში შესვლის და აღსაზრდელების საცხოვრებელი გარემოს, მათზე გაწეული მზრუნველობისა და უფლებრივი მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა.

შესაბამისად, სახელმწიფო არა თუ ვერ განსაზღვრავდა ბენეფიციართა მზრუნველობის პროცესს, არამედ საერთოდ არ იყო ინფორმირებული ბავშვების მდგომარეობის შესახებ, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ტექნიკურ რეგლამენტში გაწერილ ვალდებულებებს და სახელმწიფოს მხრიდან ბავშვის უფლებები დარღვევაა. პანსიონის მოქმედებები, კერძოდ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკის დაწესებულებაში არშეშვება, ბავშვებთან მისი კომუნიკაციის შეზღუდვა ან ხელის შეშლა, ასევე, ხელის შეშლა სახალხო დამცველის მონიტორინგის მექანიზმისთვის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 4[1] მუხლის ამოქმედების საფუძველს ქმნიდა, რაც გულისხმობს დაწესებულებისთვის მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ლიცენზიის გაუქმებას, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაჯარიმებას შედეგი არ მოჰყვება. თუმცა სახელმწიფოს ეს მექანიზმი არ გამოუყენებია და არასრულწლოვნები თითქმის ერთი წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ყოველგვარი მონიტორინგის გარეშე და არ ჰქონიათ იმ პირებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა, რომელთა უშუალო ვალდებულებაა არასრულწლოვანთა საჭიროებების შეფასება და მათი უფლებების დაცვა.

[24] საქართველოს მთავრობის დადგენილება №66, ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 15 იანვარი, მუხლი 4, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ვ".

3. პანსიონში ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დარღვევა

3.1. განათლება და სოციალიზაცია

არასრულწლოვნებში დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის აუცილებელია მათი გარე სამყაროსთან ინტეგრაცია და სოციალიზაცია. ზრუნვის გამწევი დაწესებულების ვალდებულება, არასრულწლოვანი მოამზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის და ამ მხრივ, აღმოუჩინოს მას მხარდაჭერა, დადგენილია, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით. კერძოდ, გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ[25] და ბავშვზე ზრუნვის საერთაშორისო სტანდარტები[26] პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვნის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების აუცილებლობაზე. ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, როგორც არასრულწლოვნის ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთ ვალდებულებასა და მიზანს, განიხილავს ბავშვის უფლებათა კოდექსიც.[27] დაწესებულებების ვალდებულებას ამ კუთხით, კიდევ უფრო დაწვრილებით განსაზღვრავს ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, რომლის თანახმადაც, აუცილებელია, ალტერნატიული ზრუნვის ფარგლებში არასრულწლოვანს გამოუმუშავდეს დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, მიიღოს განათლება და ჩაერთოს ზრუნვიდან გასვლის შესახებ სამომავლო გეგმების განსაზღვრის პროცესში (სტანდარტი №13). ამასთანავე, აუცილებელია ბავშვის ინფორმირება და მასთან კონსულტაციები სახელმწიფო ზრუნვის დატოვების პროცესისა და სამომავლო გეგმების შესახებ.[28] განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ საკითხების დეტალურ გაწერას ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმებში და მათი შესრულების ეფექტიან მონიტორინგს.

არასრულწლოვანთა ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ბავშვის უფლებათა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით. სრულფასოვანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფის ვალდებულებას აწესებს გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია. მსგავს ვალდებულებას ადგენს საქართველოს კონსტიტუცია, ბავშვის უფლებათა კოდექსი და ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები. ამასთანავე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვნების ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას და მათთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

---

[25] გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1994 წელი, პრეამბულა.

[26] Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, Support for aftercare, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

[27] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 2019 წელი, მუხლი 30.

[28] საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ", მუხლი 13, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5 [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

აღსანიშნავია, რომ სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პანსიონის არცერთ აღსაზრდელს არ ჰქონია სპეციალური საგანმანათლებო საჭიროება.[29] მაშინ როდესაც 2021 წლის 19 მაისს, ქალაქ ნინოწმინდის №4 სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლის 12 მოსწავლეს ჰქონდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, და მათთვის მულტიდისციპლინურმა გუნდმა შესაბამისი ინდივიდუალური განვითარების გეგმა შეადგინა, თუმცა ამ გეგმის და მასში გაწერილი აქტივობების შესახებ სოციალური მუშაკი და აღმზრდელები ინფორმირებულები არ ყოფილან, რაც არსებითად ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის უფლებებისა და ინტერესების განუხრელი დაცვის ვალდებულებას. ამჟამად, 2021 წლის 22 ნოემბრის მონიტორინგის შედეგების თანახმად, პანსიონის 2 აღსაზრდელს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი, და მათთვის №4 საჯარო სკოლაში გათვალისწინებულია ორი სპეციალური მასწავლებელი. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პანსიონში ასევე ირიცხება აღსაზრდელი, რომელსაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი და მის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ცალსახადაა მითითებული, რომ ბავშვს აქვს მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა და ქცევითი აშლილობა, მუდმივად საჭიროებს მეცადინეობის დროს დახმარებას. თუმცა, ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია საჭიროდ არ მიიჩნევს არასრულწლოვნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წლის 13 სექტემბერს ჩატარებული მონიტორინგისას აღმოჩნდა, რომ პანსიონის რამდენიმე აღსაზრდელის დოკუმენტაცია წლების განმავლობაში პირდაპირ მიუთითებდა არასრულწლოვნის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების საჭიროებას, თუმცა ეს ღონისძიება არ ყოფილა გაწერილი ინდივიდუალური განვითარების გეგმაში და დაწესებულების წარმომადგენელს ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონია. დოკუმენტაციის შესწავლა და როგორც სახელმწიფო სოციალურ მუშაკთან, ისე სკოლისა და პანსიონის წარმომადგენელთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებები, მათთან ჩართული ყველა მხარის მიერ წლების განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პანსიონში მცხოვრებ აღსაზრდელებს მათ საჭიროებებზე მორგებულ სრულფასოვან განათლებაზე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამჟამადაც, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა სოციალური მუშაკები ინტენსიურად მუშაობენ პანსიონის აღსაზრდელთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაფასებლად, განათლების საკითხს კვლავ არ ექცევა სათანადო ყურადღება.

საკითხის შესწავლის და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენელთან, ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლის დირექტორთან და ნინოწმინდის პანსიონის თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პანსიონში განსაკუთრებით მწვავედ იდგა აღსაზრდელების გარე სამყაროსთან ინტეგრირების, სოციალიზაციის პრობლემაც. 2021 წლის 19 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულების სოციალურ მუშაკთან და სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებს არ ეძლეოდათ დაწესებულებიდან დამოუკიდებლად გასვლის, თანატოლებთან თამაშისა და სხვა გასართობ აქტივობებში აღმზრდელების თანხლების გარეშე მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ამასთანავე, არასრულწლოვნები სკოლაში არა მხოლოდ აღმზრდელთა თანხლებით მიდიოდნენ, არამედ აღმზრდელთა ნაწილი საგაკვეთილო

[29] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/4344, 28/05/2021.

პროცესის დასრულებამდე იმყოფებოდა სკოლის შენობაში, რაც არსებითად ეწინააღმდეგება არასრულწლოვანთა ინტერესებს, არღვევს სოციალიზაციის, თემის წევრებთან ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადების მოთხოვნებს. დაწესებულებაში არსებული მკაცრი ინსტიტუციური რეჟიმი, მათ შორის, არასრულწლოვანთა გარეთ გასვლის, თანატოლებთან კომუნიკაციის შესახებ, გამოიკვეთა ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების გაცნობის შედეგადაც, რომელთა შესახებაც დაწვრილებით ანგარიშის შემდგომ თავში იქნება საუბარი.

ის გარემოება, რომ დაწესებულება არ ზრუნავდა ბავშვების განათლებაზე, მათ ჯანმრთელობასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაზე, დასტურდება პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებისგან შეხვედრებისას მიღებული ინფორმაციითაც, რომელსაც სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები ფსიქოლოგის ჩართულობით, აღსაზრდელთა პანსიონიდან პირველი გაყვანის პერიოდიდან ახორციელებს.[30] განსაკუთრებით მწვავედ დგას ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების საკითხი. კერძოდ, არასრულწლოვნებთან და სოციალურ მუშაკებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვი არასდროს ყოფილა მაღაზიაში და არ აქვს საკვების, ნივთის ყიდვის გამოცდილება. ისინი აღმზრდელთა მიერ შემოღებულ წესებს ემორჩილებოდნენ და არასდროს მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე, არ იღებდნენ მონაწილეობას მათთვის სამოსის შერჩევაში. პანსიონში შემოწირულობის სახით შემოსული სამოსი ნაწილდებოდა ბავშვებს შორის.

დამატებით, 2021 წლის 13 სექტემბერს განხორციელებული მონიტორინგისას, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დაადგინეს, რომ პანსიონის აღსაზრდელების მიერ ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვის სკოლაში მიყვანა და საგაკვეთილო პერიოდის დასრულებამდე სკოლის ტერიტორიაზე აღმზრდელთა დარჩენა, მიმდინარე სასწავლო წელსაც იგეგმებოდა. თუმცა, რადგანაც მსგავსი მიდგომა და არასრულწლოვნების სოციალიზაციისთვის ხელის შეშლა განსაკუთრებით აბრკოლებს ბავშვებში იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც საჭიროა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, სახალხო დამცველის აპარატმა ამ საქმის ინდივიდუალური შესწავლა დაიწყო და წერილობით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელსაც მიაწოდა ინფორმაცია ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში არსებული მდგომარეობის, კერძოდ, აღმზრდელების საგაკვეთილო პროცესში სკოლის შენობაში ყოფნის შესახებ და გამოითხოვა ინფორმაცია, ამ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული საპასუხო კორესპონდენციით[31] გვეცნობა, რომ ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლას არაერთი დარღვევა დაუდგინდა. მათ შორის, გაირკვა, რომ სკოლამ არ დაიცვა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი და ამ პროცესში მონაწილეობა არ მიუღია არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს არასრულწლოვნების საჭიროებებთან დაკავშირებით კომუნიკაციის პრობლემაზე. ამასთანავე, შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ დადგინდა, რომ სკოლის შენობაში, სასწავლო პროცესის

[30] ამჟამად სახალხო დამცველის რწმუნებულები, ფსიქოლოგთან ერთად, შეხვდნენ და გაესაუბრნენ ნინოწმინდის პანსიონის 30-მდე ყოფილ აღსაზრდელს.

[31] საქართველოს განათლებისა დ მეცნიერების სამინისტროდან მიღებული კორესპონდენცია MES 0 21 0001109407 - 19/10/2021.

დროს, სათანადოდ არ კონტროლდებოდა უცხო პირთა გადაადგილება. სკოლას სათანადო ზომები არ მიუღია სკოლის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად და სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვნად დასაცავად, დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან აღსაკვეთად.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, 2021 წლის 22 ნოემბერს, ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლაში ვიზიტისას, ნინოწმინდის პანსიონის თანამშრომელთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკთან გასაუბრებით დაადგინეს, რომ ამჟამად სოციალური მუშაკი, როგორც არასრულწლოვანთა კანონიერი წარმომადგენელი, შედის მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობაში და ინფორმირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესახებ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პანსიონში მცხოვრებ ორ აღსაზრდელს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და გეგმებში, სოციალური მუშაკის განმარტებით, აღნიშნულია აღმზრდელთა როლიც გაკვეთილის მომზადების პროცესში ბავშვების ხელშესაწყობად, არც სახელწიფო ზრუნვის სააგენტოს და არც სკოლას პანსიონისთვის ამ დრომდე არ მიუწოდებია ინფორმაცია ინდივიდუალური განვითარების გეგმებში ასახული ინფორმაციის შესახებ, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებამ მსგავსი თხოვნით უკვე მიმართა სკოლას.

2021 წლის 22 ნოემბერს, ნინოწმინდის №4 საჯარო სკოლასა და პანსიონში სახალხო დამცველის რწმუნებულების მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ აღმზრდელები აღარ იმყოფებიან სკოლის ტერიტორიაზე საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობისას და სკოლამდეც მხოლოდ მცირე ასაკის ბავშვებს აცილებენ აღმზრდელები. ნინოწმინდის პანსიონის თანამშრომლის განცხადებით კი, ბავშვებს მეტი თავისუფლება აქვთ, გავიდნენ დაწესებულებიდან სურვილისებრ.

3.2. კვება და ჯანმრთელობის დაცვა

კვება

სააღმზრდელო დაწესებულებაში, აუცილებელია არასრულწლოვანთა სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფა, რომელიც ორიენტირებული იქნება ბავშვების სრულფასოვან ზრდასა და განვითარებაზე.[32] დაწესებულებამ თითოეულ ბენეფიციარს უნდა შესთავაზოს საჭიროებებზე მორგებული, სრულფასოვანი, ჯანსაღი და შესაბამისი ნუტრიციული ღირებულების საკვები. ამასთანავე, აუცილებელია ბენეფიციარების კვებითი თავისებურებების, ასაკობრივი ჯგუფისა და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინება (სტანდარტი №6). აღსანიშნავია ასევე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13,[33] რომელშიც კომიტეტი

[32] Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, General conditions applying to all forms of formal alternative care arrangements, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

[33] General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1); Committee on the Rights of the Children; 29 May 2013.

განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უგულებელყოფაზე, როგორც ძალადობის ერთ-ერთ ფორმაზე და გამოყოფს უგულებელყოფის ძირითად ნიშნებს, როგორიცაა ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური, საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ 2021 წლის 13 სექტემბრის მონაცემებით და მას შემდგომ მიღებული ინფორმაციით, აღსაზრდელთა მენიუ ოთხკომპონენტიან სადილს მოიცავს, ასევე, მოწოდებული ინფორმაციით, დაწესებულების მხრიდან, აღნიშნულ პროცესში ხდება არასრულწლოვანთა სურვილის გათვალისწინება, დაწესებულებისთვის ბავშვების სათანადო კვებით უზრუნველყოფა წლების განმავლობაში პრობლემა იყო და არასრულწლოვნები ვერ იღებდნენ მათი განვითარებისთვის აუცილებელ საკვებს. დაწესებულებაში არასრულწლოვნების არასათანადო კვება დადასტურდა ბავშვებთან გასაუბრების შედეგადაც. ბავშვები აღნიშნავდნენ, რომ არ მოსწონდათ დაწესებულების კვება. ფაქტობრივად, არ იღებდნენ ხორცის პროდუქტებს, ძირითადად, იკვებებოდნენ ლობიოთი და წვნიანით, საუზმესა და ვახშამზე მხოლოდ ჩაისა და პურს იღებდნენ, იშვიათად, კარაქთან ან ჰალვასთან ერთად. ამასთანავე, კვების საკითხებთან დაკავშირებით, არასოდეს ითვალისწინებდნენ ბავშვების აზრსა და სურვილებს.[34]

აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან მიღებული კორესპონდენციაც,[35] რომლითაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოების მიერ 2017 და 2018 წლებში დაწესებულების მონიტორინგისას გამოვლენილი არაერთი დარღვევიდან ერთ-ერთი სწორედ აღსაზრდელთა არასათანადო კვება იყო.

ჯანდაცვა

საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სააღმზრდელო საქმიანობის გამწევი დაწესებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა ბენეფიციარების ჯანმრთელობის დაცვა და, ამ მხრივ, მათ წინაშე არსებული საჭიროებების უზრუნველყოფა.[36] აუცილებელია, დაწესებულებაში, სადაც ბავშვები იზრდებიან, შექმნილი იყოს მათი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო, დამკვიდრდეს ცხოვრების ჯანსაღი წესი, უზრუნველყოფილი იყოს იმუნიზაცია და რუტინული პროფილაქტიკური შემოწმება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ბენეფიციართა ინფორმირება პირადი ჰიგიენის, სექსუალური განათლების,

[34] იკვეთება პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებთან გასაუბრების შედეგად.

[35] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/6875, 13/05/2021.

[36] Resolution adopted by the General Assembly, Guidelines for the Alternative Care of Children, General conditions applying to all forms of formal alternative care arrangements, 24 February 2010, ხელმისაწვდომია: https://bettercarenetwork.org/sites/default/files/2021-03/GuidelinesAlternativeCareofChildrenEnglish.pdf [ბოლოს ნანახია: 12/07/2021].

სხვადასხვა დაავადებისა და მავნე ნივთიერებების გამოყენების მოსალოდნელი შედეგების შესახებ (სტანდარტი №9).[37]

2021 წლის 28 ივნისის მონიტორინგმა აჩვენა, რომ პანსიონში არაერთი გამოწვევა იყო არასრულწლოვანთა ინდივიდუალური, მათ შორის, ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასებისა და უზრუნველყოფის კუთხით. პანსიონში მცხოვრებ ბავშვებთან საჭირო იყო მხარდამჭერი პროფესიების სპეციალისტების, მათ შორის, ფსიქოლოგის განგრძობითი ჩართულობა, რაც თავად აღსაზრდელებთან გასაუბრების შედეგადაც გამოიკვეთა. გარდა ამისა, დაწესებულებაში არ მიმდინარეობდა ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის რუტინული შემოწმება. ბავშვებთან ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროებაზე შესაბამისი რეკომენდაცია ზეპირსიტყვიერი სახით გაიცა დაწესებულების ახალ ხელმძღვანელებთან. თუმცა, 2021 წლის 13 სექტემბრის ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვნებთან მსგავსი ჩართულობა არ მომხდარა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ინფორმაციით, დაწესებულებაში სამომავლოდ გეგმავდნენ ბავშვების აღნიშნული საჭიროების უზრუნველყოფას. ხოლო, 2021 წლის 22 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტისას, როგორც უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაწესებულებს ეცნობათ, რომ პანსიონის ადმინისტრაციამ მოიწვია ფსიქოლოგი, რომელიც 2021 წლის ოქტომბერში მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა პანსიონში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პანსიონის არაერთი აღსაზრდელის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში პირდაპირ არის აღნიშნული ფსიქოლოგის და ერთ შემთხვევაში ფსიქიატრის მომსახურების აუცილებლობა, თუმცა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხრიდან აღნიშნული რესურსის გამოყოფა ამ დრომდე არ მომხდარა.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა პანსიონის მიერ ბავშვზე ზრუნვის კიდევ ერთი სტანდარტის, კერძოდ ბავშვის დასვენებისა და გაჯანსაღების შესაძლებლობების (სტანდარტი №7) დარღვევა. პანსიონს წლების განმავლობაში ერთხელაც არ გაუყვანია ბავშვები დასასვენებლად. შესაბამისად, არასრულწლოვნებს მთელი წლის მანძილზე უმეტესად დახურულ გარემოში უხდებოდათ ყოფნა, რაც არამხოლოდ ეწინააღმდეგება ბავშვების ფიზიკური ჯანმრთელობაზე ზრუნვის ვალდებულებას, არამედ არსებითად უარყოფითად აისახება მათ ემოციურ მდგომარეობასა და განვითარებაზე. ამასთან, ნინოწმინდის პანსიონში, ბავშვები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი სპორტულ და შემეცნებით აქტივობებში, დაწესებულებაში ფაქტობრივად არ იყო ბავშვების სათანადო დასვენების, გაჯანსაღებისა და თავისუფალი დროის მათი სურვილისებრ დაგეგმვის შესაძლებლობა.

ამ ეტაპისთვის, პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნები მიმდინარე წელს, სექტემბრის დასაწყისში წაიყვანეს ზღვისპირა კურორტზე ორი კვირით, დასასვენებლად. ასევე, ბავშვებს გადაეცათ კომპიუტერული და გასართობი ტექნიკა.

[37] საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი იანვრის №66 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ" ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2198153?publication=5 [ბოლოს ნანახია: 12/07/2021]

4. ძალადობისგან დაცვა

ნინოწმინდის პანსიონის მონიტორინგის, დოკუმენტების გაცნობის, არასრულწლოვნებთან გასაუბრებისა და სისხლის სამართლის საქმეების მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში წლების განმავლობაში მიმართავდნენ ბავშვების მიმართ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებულ მოქმედებებს. აღზრდის მეთოდებში ინტეგრირებული დასჯის ფორმები დამამცირებელი, ღირსების შემლახავი და მატრავმირებელი იყო არასრულწლოვნებისთვის. ანგარიშის ამ თავში, სწორედ, მსგავსი მძიმე ფაქტები იქნება განხილული.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის №14[38] ზოგადი კომენტარის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში, ბავშვთან დაკავშირებული თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას, თუ მის მიმართ სხვადასხვა ქმედების განხორციელებისას. ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უსაფრთხოების გათვალისწინებას და მის დაცვას ნებისმიერი სახის ძალადობისგან. ამასთანავე, „ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ყველა ბენეფიციარი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის ძალადობისგან (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური, იძულება, უგულებელყოფა), როგორც მომსახურებაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მომსახურების მიწოდება კი უნდა ხორციელდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც შეესაბამება მომსახურების მიზანს და სათანადოდ აკმაყოფილებს თითოეული არასრულწლოვნის საჭიროებებს. შესაბამისად, ბავშვის ძალადობისგან დაცვის ვალდებულება გულისხმობს, როგორც უსაფრთხო სააღმზრდელო გარემოს შექმნას, ისე იმგვარი გარემოს შექმნას, რომლის პირობებშიც ბავშვს შეეძლება სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე მიმართოს შესაბამის პირებს, უწყებას, რათა შემთხვევას მოჰყვეს დროული რეაგირება. ხოლო, საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე", განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის სისტემას, რაც მოიცავს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას, ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, ძალადობის ფაქტზე შესაბამისი უწყებების ინფორმირებულობას, საჭიროების შემთხვევაში კი, ბავშვის განცალკევებას და შემთხვევაზე ზედამხედველობას. ამავე დადგენილების მე-5 მუხლით განსაზღვრულია რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებელი უწყებები, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფუნქციები ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენის, პრევენციისა თუ სათანადო რეაგირების კუთხით. ამავე დადგენილების მე-13 მუხლით განსაზღვრულია ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის აუცილებლობა, რომლის მიზანიც ძალადობის მსხვერპლი ბავშვის რეაბილიტაცია და შესაბამისად, განმეორებითი ძალადობის თავიდან არიდებაა.

მნიშვნელოვანია სააღმზრდელო საქმიანობის გამწევი დაწესებულების ვალდებულება, იხელმძღვანელოს შესაბამისი კანონმდებლობით, ჰქონდეს შემუშავებული ძალადობისგან

[38] General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1); Committee on the Rights of the Children; 29 May 2013.

დაცვის შიდა რეგულაციები და წერილობით აწარმოოს ჟურნალები, როგორც დაწესებულებაში მომხდარი ძალადობის შემთხვევების, ისე მათზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ (სტანდარტი №11). ხოლო, ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესაბამისად, განსაკუთებით მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნებთან მუშაობისა და მათზე ზრუნვის პროცესში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები (სტანდარტი №16).

როგორც ანგარიშში უკვე აღინიშნა, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა სამჯერ მოინახულეს ნინოწმინდის პანსიონი და გაეცნენ დაწესებულების და არასრულწლოვანთა დოკუმენტაციას. სამივე შემთხვევაში გამოიკვეთა დოკუმენტაციის მოწესრიგების პრობლემა. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტაციის მოწესრიგება პანსიონის სისტემური პრობლემას წარმოადგენს. მათ შორის, ლიცენზირებულ სააღმზრდელო დაწესებულებას ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ჰქონია სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების დოკუმენტი, რაც 2018 წელს მისი დაჯარიმების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.[39] სახალხო დამცველის რწმუნებულების ვერცერთი მონიტორინგისას ვერ მოხერხდა პანსიონის შინაგანაწესის გაცნობა, სადაც გაწერილი იქნებოდა ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმი.[40] ძალადობის ჟურნალში არსებულ ჩანაწერებში კი საუბარია მხოლოდ არასრულწლოვნებს შორის კონფლიქტის ფაქტებზე, რომლებიც შერიგებით დასრულდა. პანსიონს არც ასეთ შემთხვევებში აქვს შემთხვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმი, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლამ, პანსიონში, წლების განმავლობაში ბავშვზე ძალადობის არაერთი შემთხვევა გამოავლინა.

ამჟამად სახელმწიფო სოციალური მუშაკები პანსიონის შენობაში 24-საათიანი მორიგეობით იმყოფებიან,[41] რაც გარკვეულწილად ქმნის არასრულწლოვანთა დაცვისა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფის გარანტიას. თუმცა, ასევე საგულისხმოა, რომ როგორც სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნინოწმინდის ტერიტორიული ერთეულის სოციალურ მუშაკთან მიმდინარე წლის 13 სექტემბერს შემდგარი გასაუბრებისას გამოიკვეთა, ნინოწმინდის პანსიონში ამჟამად მცხოვრებ არასრულწლოვნებს და ყოფილ აღსაზრდელებს განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ. აღნიშნული სამომავლოდ განსაკუთრებით გაართულებს ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკისთვის ბავშვებთან ეფექტიან და ნდობაზე დამყარებულ კომუნიკაციას, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელს ხდის ბავშვების მდგომარეობის ზუსტ შესწავლას და სავარაუდო ძალადობის შემთხვევების გამოვლენას. მიუხედავად ამისა, 2021 წლის 22 ნოემბერს, ვიზიტისას, სახალხო დამცველის რწმუნებულებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ პრობლემის გამოვლენიდან რამდენმე თვის შემდეგაც არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები,

[39] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კორესპონდენცია №01/6875, 13/05/2021.

[40] სახალხო დამცველის რწმუნებულებს, 2021 წლის 13 სექტემბერს და 22 ნოემბერს, მონიტორინგისას, პანსიონის წარმომადგენელმა განუმარტა, რომ შინაგანაწესი პანსიონის იურისტთან ინახებოდა, დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების შესატანად.

[41] პროცესი შეჩერებული იყო სახალხო დამცველის რწმუნებულების ბოლო ორი ვიზიტისას. კერძოდ, 2021 წლის 13 სექტემბერს, კოვიდ ინფიცირების დადასტურებისა და ბავშვების საზაფხულო არდადეგებზე ყოფნის საფუძველზე, ხოლო 22 ნოემბერს, ერთ-ერთი აღსაზრდელის სავარაუდო კოვიდ ინფიცირების მიზეზით, რომლის მდგომარეობის შესწავლა მიმდინარებდა.

მათ შორის, ამ ფუნქციის სხვა პირისთვის გადაცემა, თუკი სხვა ეფექტიანი ჩარევით არსებული გამოწვევა არ აღმოიფხვრებოდა.

აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის შესახებ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია

პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისას განსაკუთრებით საგანგაშო და შემაშფოთებელია საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც პანსიონის აღმზრდელები ბენეფიციარების მიმართ ძალადობის და წამებასთან გათანაბრებული მოპყრობის არაერთ ფორმას იყენებდნენ. არასრულწლოვნები თავადაც აღნიშნავენ[42] დასჯის ფორმად სიმინდისა და ხორბლის მარცვლებზე საათობით დაჩოქების, საკვების გარეშე დატოვების, ღამეების თენების, დამამცირებელი მოპყრობის შესახებ. ცემაზე „რეიკებითა" და სახაზავებით, აღმზრდელების მიერ ბავშვებისთვის თვალების რეიტუზებით აკვრის გამოყენებას დღის საათებში დასაძინებლად. ასევე, გამოიკვეთა პანსიონის თანამშრომლების მხრიდან ბენეფიციარების სავარაუდო ბულინგი და ჩაგვრა კანის ფერის და ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე.

პანსიონში მცხოვრები ბავშვების ძალადობისა და ჩაგვრის სავარაუდო ფაქტებზე, კიდევ ერთხელ, ნათლად მიუთითებს და მოწმობს სიუჟეტი,[43] სადაც ბავშვები მათ მიმართ, მათ შორის, მიმდინარე წლის პირველ ივნისს ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე ყვებიან. ხოლო ერთ-ერთი არასრულწლოვანი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის ნინოობის დღესასწაულის წინა დღეებში, ოთახში შესვლისას ნახა, რომ ბავშვი მწოლიარე მდგომარეობაში მყოფ აღმზრდელს მასაჟს უკეთებდა, სავარაუდოდ, ფეხზე. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, პანსიონის ბენეფიციარების მიერ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებული შემთხვევების დასახელება. ძალადობის საკითხებზე სიუჟეტში საუბრისას ბავშვები მიუთითებენ დასჯის ფორმად საათობით დაჩოქების, ბუქნის გაკეთების, ცალ ფეხზე დგომისას დიდი სკამის დაკავების იძულებაზე. როგორც ბავშვები აღნიშნავენ, დასჯა ერთი კვებიდან მეორე კვების პერიოდამდე გრძელდებოდა. ერთ-ერთი ბენეფიციარი საუბრობს აღმზრდელების მიერ მთელი ღამე დაჩოქების იძულებაზე და მითითებაზე, რომ თუ აღმზრდელი საბანს გადაიხდიდა, ბავშვებს უნდა დაეფარებინათ. თუ ამ დროს ბავშვებს ჩაეძინებოდათ, მათ ცემდნენ. ტელევიზორის ყურებისას აღმზრდელები ბავშვებს მუხლებზე ადებდნენ ფეხებს და აიძულებდნენ მასაჟი გაეკეთებინათ. ერთ-ერთი ბენეფიციარი მიუთითებს, რომ ლოგინის თავზე დაარტყმევინეს თვალი. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველს ეუბნებოდნენ მომხდარის შესახებ, აღმზრდელები პანსიონის ყოფილი ზედამხედველისგან იღებდნენ შენიშვნას, თუმცა მისი წასვლის შემდეგ ბავშვებს უარესად ექცეოდნენ. ამიტომ, არასრულწლოვნებს ეშინოდათ მომხდარი ვინმესთვის, მათ შორის, დაწესებულების ყოფილი ხელმძღვანელისთვის ეთქვათ. პანსიონში ერთ-ერთი ვიზიტისას, სტუმრებს რომ არ შეემჩნიათ, ბავშვს ჩალურჯებული თვალის დასაფარად პუდრი წაუსვეს.

არასრულწლოვანთა მდგომარეობის არათუ არაეფექტიან შეფასებაზე, არამედ უფლების შესაძლო კიდევ ერთ დარღვევაზე მიუთითებს სახელმწიფო სოციალური მუშაკების რეაგირება ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის გავრცელებულ ფაქტებზე. კერძოდ, საინფორმაციო

[42] წყარო: https://www.facebook.com/watch/?v=980950469380813 [ბოლოს ნანახია: 04/06/2021].
[43] წყარო: https://www.facebook.com/tvimedi/posts/4225052984253254 [ბოლოს ნანახია: 04/06/2021].

საშუალებით გავრცელებულ ვიდეოში[44] ჩანს არასრულწლოვნების მიმართ სავარაუდო ფსიქოლოგიური ძალადობის პროცესი, როდესაც ატირებულ ბენეფიციარებს პანსიონის ყოფილი ხელმძღვანელი ესაუბრებოდა პანსიონიდან გასვლაზე და იმაზე, როგორ არ სურთ ბავშვებს დაწესებულების დატოვება. ამასთანავე, მიმდინარეობდა არასრულწლოვნების ვიდეოჩაწერა და პირდაპირი ტრანსლაცია. პროცესს, სავარაუდოდ, ესწრებოდნენ დაწესებულებაში ბავშვების მდგომარეობის შეფასების მიზნით შესული სოციალური მუშაკები, თუმცა მათი მხრიდან მომხდარს რაიმე ფორმის მყისიერი რეაგირება არ მოჰყოლია. ამის საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა წერილობით მიმართა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და საკითხის შესწავლა, მათ შორის, ვიდეოჩაწერის მიმდინარეობისას ოთახში მყოფი სოციალური მუშაკების სავარაუდო გადაცდომის საკითხის მოკვლევა მოითხოვა. სახალხო დამცველის აპარატს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსგან მიღებული საპასუხო კორესპონდენციით[45] ეცნობა, რომ მონიტორინგისა და პროექტების დიზაინის დეპარტამენტის მონიტორინგისა და შეფასების სამმართველომ გამოიკვლია ამ პროცესში მონაწილე თითოეული სოციალური მუშაკის ვინაობა და საკითხის შესწავლის მიზნით, ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, მაგრამ თანამშრომლებს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დადასტურდა.

სახალხო დამცველის აპარატისადმი მიმართვები და ზოგადი მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია

აღმზრდელების მხრიდან სისტემატურ ძალადობაზე მიუთითებენ პანსიონის ყოფილი აღსაზრდელები, რომელთაგანაც ექვსის მომართვის საფუძველზეც სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო ინდივიდუალური საქმისწარმოება.

გარდა პანსიონის ყოფილი ბენეფიციარების მიერ ძალადობის ფაქტებზე პირდაპირი მითითებისა, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სახალხო დამცველის წარმომადგენლები ხვდებიან ნინოწმინდის ყოფილ აღსაზრდელებს, მათ სოციალურ მუშაკებს და ახორციელებენ ბავშვების საჭიროებების შეფასებას. მიღებული ინფორმაციით, პანსიონში გამოიყენებოდა ძალადობის სხვადასხვა ფორმა. კერძოდ, ფიზიკური დასჯა, ძალიან მკაცრი კონტროლი, შრომითი ექსპლუატაცია (შრომა დასჯის მიზნით), ემოციური ზეწოლა, ბავშვების „მომზადება" სახალხო დამცველთან და სოციალურ მუშაკებთან საუბრისათვის. ამასთან, ბავშვებს აქვთ იდენტური შინაარსის პასუხები - „აქ კარგია, ყველაფერი გვაქვს, საჭმელიც, ტანსაცმელიც და არავინ არ გვსჯის". ამ ფორმით პასუხები ჟღერდებოდა მაშინაც, როდესაც სახალხო დამცველის წარმომადგენელი მსგავს კითხვას არ უსვამდა არასრულწლოვანს. ამასთან, პანსიონის ერთ-ერთ ყოფილი აღსაზრდელი შეკითხვაზე - „ახალი რა ისწავლე ამ სახლში?" იმეორებდა იმავე პასუხს, რომ იქ კარგად იყო, ყველაფერი ქონდა და ა. შ. აღნიშნულ ბავშვს არ აქვს რაიმე კომუნიკაცია ბიოლოგიურ ოჯახთან და ნათესავებთან, ამჟამად ცხოვრობს ნინოწმინდის პანსიონის ერთ-ერთ

[44] წყარო: https://tinyurl.com/e7bm3swd [ბოლოს ნანახია: 07/06/2021].

[45] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/9561 – 08/11/2021.

აღმზრდელთან, რომელიც მის გამყვან პირად არის დარეგისტრირებული და სოციალური მუშაკის განცხადებით, ბავშვსა და აღმზრდელს შორის არის დადებითი ემოციური კავშირი.

აღსანიშნავია, ბავშვებთან გასაუბრებისას გამოვლენილი ქცევები, კერძოდ, სხეულის დაძაბულობა, განრიდების (დისოციაციის) რეაქციები, მზერითი კონტაქტის არარსებობა, მწირი ლექსიკური მარაგი, თვითდამაზიანებელი ქცევა (საკუთარი ხელისგულის დაკემსვა ნემსით და ძაფით), ასევე სოციალური მუშაკების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, სადაც იკვეთება რეგრესული ქცევა (თითის წოვა თითის დაზიანებამდე) შესაძლებელია, მიანიშნებდეს განვითარების ტრავმაზე. ამასთან, ერთ-ერთ საქმეში, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატი ინდივიდუალურ საქმისწარმოებას ახორციელებს და ნინოწმინდის პანსიონის ყოფილ აღსაზრდელთან ვიზიტითაც იმყოფებოდა, გამოიკვეთა, რომ ბავშვს აქვს ქცევითი სირთულეები და ამჟამინდელ აღმზრდელს დასჯის მიზნით, მოუწოდებდა „დამაბი, დამაბი!" შესაბამისად, აუცილებელია ნინოწმინდის პანსიონის ყველა აღსაზრდელის ნეიროფსიქოლოგიური შეფასება, რათა დადგინდეს, როგორ აისახა დიდ ინსტიტუციაში ცხოვრება არასრულწლოვნების კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე. აღნიშნული არსებითად მნიშვნელოვანი იქნება არასრულწლოვნების რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობის პროცესში.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში ამჟამადაც ცხოვრობს არასრულწლოვანი, რომელიც საუბრობს წარსულში მომხდარ ძალადობის ფაქტებზე და გამოთქვამს მზაობას, გამოკითხულ იქნეს აღნიშნულთან დაკავშირებით. კერძოდ, 2021 წლის 22 ნოემბერს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში განხორციელებული ვიზიტისას ნინოწმინდის აღსაზრდელთა ინდივიდუალური განვითარების გეგმების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ ერთ-ერთ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ასახულია, რომ აღსაზრდელი ფლობს პანსიონში ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც გამოკითხვისას არ განაცხადა თუმცა, ამჟამად მზადყოფნას გამოთქვამს, რომ აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გამოიკითხოს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმა 2021 წლის ივლისის თვეს არის შედგენილი, 2021 წლის 22 ნოემბრის მონაცემებით აღსაზრდელის კანონიერ წარმომადგენელს არ ჰქონდა რეფერირება განხორციელებული სამართალდამცავ უწყებასთან და არც იმის შესახებ ფლობდა ინფორმაციას, ნინოწმინდის პანსიონში 24-საათიანი მორიგეობის განმახორციელებელ სხვა სოციალური მუშაკის მიერ ხომ არ მოხდა შემთხვევის რეფერირება სამართალდამცავ უწყებასთან. აღნიშნული მიუთითებს არა მხოლოდ ინფორმაციის ნაკლებობაზე ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების დაუყოვნებლივი გადამისამართების ვალდებულების შესახებ, არამედ საქმეზე მომუშავე სოციალურ მუშაკებს შორის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის პრობლემებზე.

სისხლის სამართლის საქმეების მასალებიდან გამოვლენილი სისტემური ძალადობის ფაქტები

ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის სისტემატიურ ხასიათზე მიუთითებს სისხლის სამართლის საქმეების მასალებში არსებული აღსაზრდელების გამოკითხვის ოქმებიც. არასრულწლოვნები მიუთითებდნენ დასჯის დამამცირებელ, ღირსების შემლახავ და, ხშირად, წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებულ ქმედებებზე. პანსიონში აღსაზრდელთა დასჯის ფორმად იყენებდნენ ძილისა და საკვების აკრძალვას, ფიზიკურ ძალადობას. აღსაზრდელები იხსენებდნენ, როგორ სჯიდა მთელ ჯგუფს აღმზრდელი და არ

აძლევდა ჭამის უფლებას, თავად ჭამდნენ და ბავშვებს აყურებინებდნენ, მუხლებზე აყენებდნენ. ერთ-ერთი აღსაზრდელი, ღამე უნებლიე შარდვისთვის აღმზრდელმა შიშველი დააყენა დერეფანში. მეორე ბავშვს კი, იმავე მიზეზის გამო, აღმზრდელმა დასჯის მიზნით დახეული სამოსი ჩააცვა. ერთ-ერთმა აღმზრდელმა ბავშვს ენა გამოაყოფინა და თმის სახვევი სავარცხელი დაარტყა. როდესაც ბავშვებს შუადღის ძილისგან გამოეღვიძათ, აღმზრდელმა აიძულა, ამდგარიყვნენ, აეღოთ ლეიბები, დაწოლილიყვნენ საწოლის ფიცარზე და ლეიბები ზედ დაეფარებინათ. აღსაზრდელებს მიმართავდნენ სიტყვებით: „საქონელი", „ქუჩიდან მოთრეული", „დედისგან მიტოვებული". ჭამაზე უარის გამო დასჯის მიზნით ბავშვებს საკვებს თავზე ასხამდნენ. ერთ-ერთი შემთხვევისას აღმზრდელმა ბავშვს ჩაი დაასხა თავზე და მერე დაბანა აუკრძალა. დასჯის ფორმად გამოიყენა ერთ-ერთმა აღმზრდელმა ბავშვისთვის ხელების ერთმანეთზე ბინტით შეკვრა და მთელი ღამით ასე დატოვება. არასრულწლოვნებმა ისაუბრეს სკამის ფეხის თავში დარტყმის, ცივ იატაკზე დაყენების შემთხვევების შესახებაც. ერთ-ერთი აღსაზრდელის თქმით, მას უთხრეს, 10 მეტანია გაეკეთებინა მხოლოდ იმიტომ, რომ თამაშისას ბურთი, შემთხვევით, ფანჯარას მოახვედრა. ერთ-ერთი აღსაზრდელი, რომელმაც განაწყენებულმა ყოფილ ხელმძღვანელს უცენზურო სიტყვებით მიმართა, ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ნინოწმინდის ყოფილი ბენეფიციარი განმარტავდა, რომ ძალადობისას ტირილს უკრძალავდნენ, რის გამოც ტირილის შიში ახლაც აქვს და ვერ გამოხატავს ამ ემოციას.

5. პანსიონის აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლით გარანტირებული არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება მოიცავს პოზიტიური ხასიათის პროცედურულ ვალდებულებას, რომელიც დამნაშავე პირთა გამოვლენისა და დასჯის მიზნით ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მე-3 მუხლის სფეროში მოქცევისთვის, მოპყრობამ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს უნდა მიაღწიოს. შეფასებისას გაითვალისწინება მოპყრობის შინაარსი, ბუნება, ფორმა, ხანგრძლივობა, ფიზიკური და სულიერი ზიანი, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.[46] სასამართლო არაადამიანურად მიიჩნევს წინასწარი განზრახვით ჩადენილ მოპყრობას, რომელიც სხეულის დაზიანებას ან ძლიერ ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს, დამამცირებელ მოპყრობად თვლის ქმედებას, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს პირს, ან აკნინებს მის ღირსებას ან აღძრავს მასში შიშის, ტანჯვისა და არასრულფასოვნების განცდას, რომელსაც მორალური თუ ფიზიკური გამძლეობის გატეხა შეუძლია.[47]

---

[46] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Assenov and others v.Bulgaria, №90/1997/874/1086, §94.

[47] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 29 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე, Pretty v. The United Kingdom, განაცხადი №2346/02; §52; 2001 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Price v. The United Kingdom, განაცხადი №33394/96, §30.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით აკრძალულია დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა - პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობის დანაშაულები სპეციფიკური ხასიათისაა და მათზე გამოძიების წარმართვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსხვერპლზე ორიენტირებულ, მისი დაცვისა და მხარდაჭერისკენ მიმართული მიდგომების გამოყენებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულება, სტიგმა და წინასწარი განწყობა, რაც, გარდა იმისა, რომ ზრდის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკს, ასევე, აბრკოლებს გამოძიების ეფექტიანად წარმართვას.[48] შესაბამისად, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, მსგავს საქმეებზე გამოძიების წარმართვისას მაქსიმალურად გამოიყენებოდეს ის საერთაშორისო სტანდარტები და პრაქტიკა, რომელიც სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ არსებობს.[49]

ამასთანავე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განამტკიცებს კონტექსტზე დაფუძ-ნებული გამოძიების მნიშვნელობას გაუპატიურებისა და სხვა სახის სექსუალური ძალადობის საქმეებზე. საქმეში, M.C. v. Bulgaria, სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც საქმეში ნაკლებადაა ე.წ. „პირდაპირი" მტკიცებულებები, შესაბამისმა ორგანოებმა „ყველა შესაძლო ზომა უნდა მიიღონ გარემომცველი გარემოებების დასადგენად" და „ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების სანდოობა საკმარისად შეაფასონ".[50] სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ გაუპატიურების აშკარა მტკიცებულების არარსებობის დროს, შესაბამისმა ორგანოებმა „უნდა გამოიკვლიონ ყველა ფაქტი და გადაწყვეტილება მიიღონ გარემომცველი გარემოებების შეფასებაზე დაყრდნობით".[51]

აღსანიშნავია ასევე, რომ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ფაქტებზე გამოძიების მიმდინარეობისას მეორეული ვიქტიმიზაციისა და ტრავმირების განსაკუთრებით მაღალ რისკს შეიცავს ე.წ. „საქალწულე აპკის" მთლიანობის, არსებული დაზიანებების მოკვლევის მიზნით დანიშნული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ე.წ. „ქალწულობის ტესტებს" აფასებს როგორც

---

[48] საქართველოს სახალხო დამცველი, ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3CXQgx2 [ბოლოს ნანახია: 16/09/2021].

ასევე, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება", 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ATbewy [ბოლოს ნანახია: 29/09/2021].

[49] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება, Kunarac et al., Appeal Judgment, IT-96-23 & IT-96-23/1-A,§127, ასევე, იხ. World Health Organization, Eliminating Virginity Testing: An Interagency Statement, 2018

[50] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, M.C. v. Bulgaria, no. 39272/98, ECHR, 03.12. 2003, §176-178.

[51] იქვე, §181.

„დამამცირებელს, დისკრიმინაციულს და სამეცნიერო საფუძველს მოკლებულს".[52] ასევე, არ არსებობს ფაქტობრივი, სამეცნიერო ან სამედიცინო საფუძველი, რომლის თანახმადაც საქალწულე აპკის გამოკვლევის შედეგად, ზუსტად იქნება შესაძლებელი იმის დადგენა, განხორციელდა თუ არა ქალის სხეულში ვაგინალური შეღწევა.[53] შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებების განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში, აუცილებელია, გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და განხორციელდეს ყველა ის ღონისძიება, რომელიც დაიცავს მას მეორეული ვიქტიმიზაციისგან.

სისხლის სამართლის საქმეები

2021 წლის 7-8 ივლისს და 9-10 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში გაეცნენ ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტებზე წარმოებულ სისხლის სამართლის ოთხი საქმის მასალებს. სისხლის სამართლის საქმეებიდან ორ შემთხვევაში გამოძიების დაწყების საფუძველი სახალხო დამცველის აპარატის კორესპონდენცია გახდა, ხოლო დანარჩენ ორ შემთხვევაში - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს წერილი. კერძოდ:

- 2016 წლის 23 დეკემბერს, შსს-ს ნინოწმინდის პოლიციის სამმართველოში, გამოძიება დაიწყო პანსიონში არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილით.[54] გამოძიებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 27.10.2016 წ. №10-3/12823 წერილი.
- 2019 წლის 15 ნოემბერს, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტში, გამოძიება დაიწყო სოციალური მუშაკის შეტყობინების საფუძველზე, 2018 წელს არასრულწლოვნის მიმართ ნინოწმინდის პანსიონში გაუპატიურების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებზე.[55] საქმის მასალების მიხედვით, არასრულწლოვანმა ამ ფაქტის შესახებ სოციალურ მუშაკთან ნინოწმინდის პანსიონიდან წასვლის შემდეგ ისაუბრა.
- 2020 წლის 11 დეკემბერს, ნინოწმინდის რაიონულ სამმართველოში, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიმართვის საფუძველზე დაიწყო გამოძიება არასრულწლოვნების მიმართ პანსიონში ჩადენილი სავარაუდო ძალადობის და ერთ-ერთის მიმართ №4 საჯარო

[52] იხ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალების ჯანმრთელობის დაცვა, კლინიკური სახელმძღვანელო, 2014, გვ. 46, ხელმისაწვდომია: https://www.who.int/reproductivehealth/publications/violence/vaw-clinical-handbook/en/ [ბოლოს ნანახია: 02/04/2021]. ასევე იხ. დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ჯგუფი (2015), „განცხადება ქალწულობის ტესტირების შესახებ", სასამართლო ექსპერტიზის მედიცინის ჟურნალი, 33, 121-124; -- შესამოწმებელია; CEDAW-ს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია №35, პარ. 29 (c) (ii), იხ. ბმულზე: https://undocs.org/CEDAW/C/GC/35 ,

[53] იხ. ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, კვლევებზე დაყრდნობით ცვლილება შესაძლებელია, გვ. 1, ხელმისაწვდომია: https://s3.amazonaws.com/PHR_other/virginity-and-hymen-testing.pdf [ბოლოს ნანახია: 02/04/2021].

[54] ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ

[55] გაუპატიურება ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ, 2018 წლის რედაქცია.

სკოლის პედაგოგის მხრიდან სავარაუდო ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1[1] ნაწილით. გამოძიებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიმართვა, რომლის წარმომადგენლებთან პანსიონიდან გასვლის შემდეგ ისაუბრეს არასრულწლოვნებმა.

- 2021 წლის 9 თებერვალს, ნინოწმინდის სამმართველოში, გამოძიება დაიწყო 2018-2019 წლებში ერთ-ერთი აღსაზრდელის და სხვათა მიმართ ძალადობის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126 მუხლის 1[1] „ა" და „გ" ქვეპუნქტებით.[56] გამოძიებას საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან შესული №10-3/1283 წერილი.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის იმ ფაქტების გამოძიება, რომლებიც 2021 წელს გახდა ცნობილი ერთიანად ხდება ახალი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

საქმეების მასალების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა არაერთი დარღვევა, მათ შორის, საგამოძიებო მოქმედებებისას გათვალისწინებული არ ყოფილა ბავშვის საუკეთესო ინტერესები, არ გატარებულა არასრულწლოვნების დაცვაზე ორიენტირებული შესაბამისი ღონისძიებები. ასევე, იკვეთება საგამოძიებო მოქმედებების შეუსრულებლობა და გამოძიების პროცესში რამდენიმეწლიანი უმოქმედობა. გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის შესახებ, შეტყობინებიდან მხოლოდ 2 თვის შემდეგ დაიწყო. ამავე საქმეში იკვეთება არასრულწლოვნების საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით გამოკითხვა, საჭიროების მიუხედავად, ბავშვისთვის, კანონიერი წარმომადგენლის ნაცვლად, არ დაუნიშნავთ საპროცესო წარმომადგენელი. ასევე, გამოკითხვის პროცესში არასრულწლოვნებმა და მათმა მშობელმა უარყვეს ძალადობის ის ფაქტები, რომლებზეც აქამდე სხვა უწყებასთან საუბრობდნენ. ამისი მიზეზი, შესაძლოა, იყოს საქმის გამომძიებლის და ნინოწმინდის სამმართველოს პოლიციის განყოფილების ორი სხვა თანამშრომლის მიერ, ცრუ ჩვენებისთვის პასუხისგებაში მიცემით და დაშინების სხვა ფორმების გამოყენებით მათი დაყოლიება, შეეცვალათ ჩვენება. აღნიშნულის საფუძველზე, საქმის გამომძიებლის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რის გამოც, გამომძიებელი ჩამოშორდა სისხლის სამართლის საქმეს. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნების ინტერესების დამცველი 3 პოლიციელზე მიუთითებდა. შესაბამისად, იკვეთებოდა ნინოწმინდის პოლიციის სამმართველოს არა მხოლოდ ერთი თანამშრომლის (საქმის მწარმოებელი გამომძიებლის), არამედ პოლიციის განყოფილების სხვა თანამშრომლების სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებაც, რომელზეც ადვოკატი ასევე მიუთითებდა, რაც საეჭვოს ხდის ხსენებული სამმართველოს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას. ამავე მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ გამოძიება 2016 წელს დაიწყო და 4 წლის განმავლობაში, არცერთი საგამოძიებო ან საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა. კერძოდ, 2021 წლის გაზაფხულის ბოლომდე და ზაფხულის დასაწყისამდე - იმ დრომდე, როდესაც

[56]ძალადობა ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორი ან მეტი პირის მიმართ

სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებებში[57] მიუთითა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა უფლებების დარღვევების შესახებ. 2021 წლის 4 მაისს პროკურორმა დეტალური მითითება გასცა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ. თუმცა, პროკურორის მითითება, საგამოძიებო და ბრალდების ორგანოების ოთხწლიანი უმოქმედობის პირობებში, დაგვიანებულად უნდა ჩაითვალოს.

გამოძიების ამგვარი არაეფექტიანობის მიზეზზე, შესაძლოა, მიუთითებდეს საგამოძიებო ორგანოს დაინტერესება. გამოძიებას არ ჰქონია მცდელობა, გამოეკითხა პირები, ვისაც შესაძლოა ჰქონოდა ინფორმაცია საქმეზე. არ გამოუთხოვია საქმისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ინფორმაცია. არც ბავშვების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა დანიშნულა. სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, ასევე არ დანიშნულა ფსიქოლოგიური ექსპერტიზა სავარაუდო მსხვერპლი ბავშვების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული ინფორმაციით, ძალადობის შედეგად ბავშვებს ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდათ და სოციალურმა მუშაკმა ისინი ფსიქოლოგთანაც კი გადაამისამართა. ასევე, 2017 და 2021 წლებში, 3 მიმართვის მიუხედავად, გამოძიებას პანსიონიდან არ მიუღია ინფორმაცია და არც ამოღება ჩაუტარებია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მისაღებად, სსსკ-ის 112-ე, 119 და 120-ე მუხლების შესაბამისად.

სისხლის სამართლის ერთ-ერთ საქმეში იკვეთება საგამოძიებო ორგანოს ერთწლიანი უმოქმედობა. ამ შემთხვევაშიც, ერთწლიანი უმოქმედობის შემდეგ, საგამოძიებო მოქმედებების ინტენსიურ რეჟიმში გაგრძელება სახალხო დამცველის მიერ ფაქტის საჯარო გახმაურებას და მედიით გაშუქებას ემთხვევა. ასევე, იკვეთება საგამოძიებო ორგანოს ტერიტორიულ ორგანოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა. ამასთან, არ მომხდარა საქმისთვის მნიშვნელოვანი პირების გამოკითხვა, რელევანტური საკითხების შესახებ კითხვების დასმა. საქმეში ასევე იკვეთება მსხვერპლის დაცვასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ღონისძიებების ნაკლებობა, არასრულწლოვნის ერთსა და იმავე საქმეზე რამდენჯერმე გამოკითხვა, რომლის დროსაც მას ერთსა და იმავე მატრავმირებელ საკითხზე რამდენჯერმე მოუწია საუბარი. იკვეთება მსხვერპლის მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულებებიც.

საქმის მასალების მიხედვით, განსხვავებულია პანსიონში მყოფი ბავშვებისა და პანსიონიდან სხვა დაწესებულებაში გადაყვანილი ბავშვების გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებები. ეს ადასტურებს, რომ გამოძიების ფარგლებში არ არის მიღებული ბავშვების მიმართ ფიზიკური ძალადობისგან დაცვის შესაბამისი ზომები, რათა თავისუფლად შეძლონ საუბარი სავარაუდო დანაშაულის ფაქტების შესახებ. რადგანაც ბავშვები, რომლებიც იმავე დაწესებულებაში რჩებოდნენ/რჩებიან ვერ იქნებიან ზეგავლენისგან დაცულნი, თავისუფლად ვერ ითანამშრომლებენ გამოძიებასთან და შესაბამისად, ვერ მიაწვდიან სწორ ინფორმაციას. ზოგადად, პანსიონში აღსაზრდელთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტების შესახებ ბავშვების გამოკითხვას ესწრებოდა თავად პანსიონის თანამშრომელი, რაც არსებითად ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს და კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ გამოკითხვის

[57] წყარო: https://bit.ly/2YlJaTZ [ბოლოს ნანახია: 05/10/2021] ასევე, იხ. წყარო: https://bit.ly/3a7fQDp [ბოლოს ნანახია:05/10/2021] ასევე, იხ: წყარო: https://bit.ly/3Ib3790 [ბოლოს ნანახია: 05/10/2021] ასევე, იხ. წყარო: https://bit.ly/3uHnPAu [ბოლოს ნანახია: 05/10/2021] ასევე, იხ. წყარო: https://bit.ly/3aclpPK [ბოლოს ნანახია: 05/10/2021].

პროცესში არ მოხდა ყველა იმ გარემოების აღმოფხვრა, რაც ბავშვს ხელს შეუშლიდა, თავისუფლად ესაუბრა ყველა გარემოებაზე. ამასთანავე, დაწესებულების თანამშრომელი, რომელიც ესწრებოდა აღმზრდელის გამოკითხვას, თავად ამბობდა უარს, რომ არასრულწლოვნის გამოკითხვას დასწრებოდა ადვოკატი. საგულისხმოა, რომ პანსიონში მცხოვრები რამდენიმე აღსაზრდელის საპროცესო წარმომადგენლობას ახორციელებდა ის სოციალური მუშაკი, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ შესულა დაწესებულებაში და არ შეუსრულებია არასრულწლოვნების დაცვის ვალდებულება.

აღსანიშნავია ასევე, რომ საქმის მასალებით იკვეთება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების სავარაუდო დარღვევა, თითქმის ერთთვიანი დაგვიანებული რეაგირება ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე.

ამასთანავე, გამოძიების გაჭიანურებული მიმდინარეობის და არასრულწლოვნების არაერთი გამოკითხვის შედეგად, გამოვლინდა სავარაუდო მსხვერპლ ბავშვებში საგამოძიებო უწყებების მიმართ უნდობლობა, უიმედობა და უარი ექსპერტიზაზე, სამართალდამცავ უწყებასთან ან სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან თანამშრომლობაზე.[58] ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შორის კოორდინირებული მუშაობის პრობლემა - საქმის მასალებში არ იკვეთება თუ რა ღონისძიებები განახორციელეს აღნიშნულმა უწყებებმა ისეთი პრობლემური საკითხის გადასაჭრელად, როგორიცაა არასრულწლოვანი მოწმეების მხრიდან გამოძიებისათვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა.

ხსენებულ საქმეებში ბავშვების ჩვენებებში იკვეთება მოპყრობის და დასჯის ძალადობრივი მეთოდები (ცემა, შიმშილობა, გაშიშვლება, მეტანია და ა.შ.), რასაც პერმანენტული ხასიათი ჰქონდა და გამოიყენებოდა არა კონკრეტული, არამედ თითქმის ყველა ბავშვის მიმართ. ამ პირობებში სსკ-ის 126-ე მუხლით (ძალადობა) კვალიფიკაცია არასაკმარისია და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებს არ მოიცავს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიება და მისი სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით წარმართვა, და გამოძიების ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნეს პანსიონში მომხდარი ფაქტების სრულყოფილი შესწავლა და მტკიცებულებების ერთიანად მოპოვება. კერძოდ, თავდაპირველად ყველა დოკუმენტის მოპოვება როგორც პანსიონიდან, ისე სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან.

ამასთანავე, მოცემული საქმეების გამოძიებისას ნინოწმინდის პოლიციის სამმართველოს მხრიდან სავარაუდო დაინტერესებისა და მიკერძოებულობის გამო, რაც არაეფექტიან და

[58] სს საქმე №2 - სავარაუდო მსხვერპლს აქვს განცდა, რომ მისი არ სჯერათ და ვერ დაამტკიცებს მის მიმართ ჩადენილ ძალადობას, ფსიქიატრებთან და ფსიქოლოგებთან არასრულწლოვანი ხშირად იმეორებს, რომ აზრი აღარაფერს აქვს, რადგან მან თავისი სიმართლე ვერ დაამტკიცა და არავინ უჯერებს; სს საქმე №1 - არასრულწლოვნები რამდენჯერმე გამოიკითხნენ, მათ შორის, სავარაუდოდ, გამომძიებლისგან ზეწოლის მსხვერპლები იყვნენ, ამჟამად უარს აცხადებენ სამართალდამცავ უწყებასთან და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან კომუნიკაციაზე; სს საქმე №3 - სავარაუდო მსხვერპლებმა ორჯერ განაცხადეს უარი ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაზე, ერთ-ერთმა მათგანმა გამოკითხვისას უარყო მის მიმართ ჩადენილი ძალადობა და ფაქტზე, როგორც შემთხვევით მომხდარ დაზიანებაზე, ისაუბრა და არა როგორც ძალადობაზე.

გაჭიანურებულ გამოძიებაშიც გამოიხატა, ასევე, საკითხის სპეციფიკურობის და რეგიონის სიმჭიდროვის გათვალისწინებით, საჭიროა, მოცემული საქმეები, გაერთიანების შემდეგ, ეფექტიანად და სრულყოფილად გამოსაძიებლად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ერთეულს გადაეცეს.

მნიშვნელოვანია, ბავშვების მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების საკითხის განხილვაც. იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვები, რომლებიც იმავე დაწესებულებაში რჩებოდნენ/რჩებიან, ვერ იქნებიან ზეგავლენისგან დაცულნი, შესაბამისად, მათთან ვერ შედგება ეფექტიანი, ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუზიარა და გასცა შესაბამისი რეკომენდაციები გამოძიების ეფექტიანი წარმართვისა და პროცესში არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

6. პანსიონთან დაკავშირებით არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დავები

ეროვნული სასამართლო დავა

პირველი ინსტანციის სასამართლო

სახალხო დამცველის რწმუნებულებს 2021 წლის 15 აპრილს არ მიეცათ სახალხო დამცველისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების - ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის მონიტორინგის შესაძლებლობა. ამის საფუძველზე, სპეციალური მოსარჩელის სტატუსის მქონე ორგანიზაციამ, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სასამართლოს დროებითი განჩინების გამოცემის შესახებ შუამდგომლობით მიმართა.

ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", 2021 წლის 19 აპრილის შუამდგომლობით ითხოვდა:

1. დაევალოს ა(ა)იპ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონს[59] და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყველა იმ ღონისძიების გატარება, რითაც სახალხო დამცველის აპარატისთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა მისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების - აპარატის წარმომადგენლების მხრიდან პანსიონში ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის შესწავლის მიზნით ეფექტიანი მონიტორინგის დაუყოვნებლივი, დაუბრკოლებელი ჩატარება.

2. დაევალოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, „სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ"

[59] ამჟამად დაწესებულებას ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი ჰქვია.

საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად შეისწავლოს პანსიონში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის შესაბამისობა ამავე კანონთან და ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის მოთხოვნა და 2021 წლის 26 აპრილს გამოსცა განჩინება შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ. სასამართლოს მიერ შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის შესახებ განჩინება ეფუძნებოდა რამდენიმე გარემოებას, მათ შორის:

1. სასამართლოსთვის წარდგენილი არგუმენტაცია, პანსიონში მცხოვრები ბავშვების უფლებების დარღვევის შესახებ, არ იყო დამაჯერებელი.

2. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ პანსიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ არის დადასტურებული.

3. სასამართლოს განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციის, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სპეციალური მოსარჩელის სტატუსი ვრცელდება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კოლექტიური უფლებადარღვევის ან სავარაუდო უფლებადარღვევის შემთხვევებზე.

ნინოწმინდის პანსიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნების შესახებ ინფორმაციის დაზუსტების და ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 ივნისის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა არასამთავრობო ორგანიზაციის, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სარჩელი და სახელმწიფოს დაევალა, დაუყოვნებლივ გამოეყვანა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ნინოწმინდის პანსიონიდან. სასამართლოს გადაწყვეტილება საპატრიარქოს მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა, ამას პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების აღსრულება არ შეუფერხებია.

სააპელაციო სასამართლო

სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი მოსაზრება თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა. საკუთარ პოზიციაში სახალხო დამცველის აპარატმა აღნიშნა, რომ პანსიონში მცხოვრები ბავშვების უფლებების დარღვევის შესახებ ბოლო დროს და წლების განმავლობაში სახალხო დამცველის მიერ საპარლამენტო თუ სპეციალურ ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინებით, აშკარაა არსებული პრობლემის აქტუალობა და მნიშვნელობა. აქვე აღნიშნულია, რომ სახალხო დამცველის აპარატის ძალისხმევას, პანსიონში მყოფი ბავშვების უფლებების გაუმჯობესების კუთხით, სამწუხაროდ, სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი რეაგირება არ მოჰყოლია. იმ პირობებში, როდესაც არათუ გამოსწორდა იმ ეტაპისთვის გამოვლენილი დარღვევები, არამედ პანსიონი კიდევ უფრო დახურულ ინსტიტუციად გადაიქცა, მის ხელმძღვანელობაზე პასუხიმგებელი პირების მხრიდან კი არაერთი საჯარო განცხადება გაკეთდა იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველს არ მისცემდნენ მონიტორინგის ჩატარების შესაძლებლობას, კიდევ უფრო გაიზარდა ბავშვების უფლებების დარღვევის საშიშროება და აუცილებელი გახდა მასზე მყისიერი რეაგირება.

დოკუმენტში აღინიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 2021 წლის 7 მაისს დროებითი ღონისძიებების გამოცემის მიუხედავად, რომლითაც სახელმწიფოს დაევალა, დაუყოვნებლივ უზრუნველეყო დაწესებულებაში სახალხო დამცველის მონიტორინგის განხორციელება, სახელმწიფო უწყებებს კოორდინირებული და ეფექტიანი რეაგირება არ მოუხდენიათ. მათ შორის, სახალხო დამცველის მხრიდან ყველა სათანადო სახელმწიფო უწყებასთან წარმოებული კომუნიკაციის მიუხედავად, 2021 წლის 19 მაისს სახალხო დამცველის რწმუნებულებს კვლავ არ მიეცათ დაწესებულებაში შესვლის შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახალხო დამცველის აპარატმა სააპელაციო სასამართლოს მიაწოდა იმის დამადასტურებელი ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაცია, რომ პანსიონში ცხოვრობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნები, რაც სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2021 წლის 28 მაისის №07/4344 წერილით დასტურდება. დოკუმენტში ასევე აღინიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის შეუძლებლობა და მისი არაეფექტიანი ჩატარება მეტყველებდა არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების აშკარა ხარვეზებზე, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მონტორინგის დროული ჩატარების საჭიროებაზე, ბავშვების დროულად შესაფასებლად და მათი საჭიროებების გამოსავლენად.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", აქვს სპეციალური მოსარჩელის სტატუსი, რომელიც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კოლექტიური უფლებადარღვევის ან სავარაუდო უფლებადარღვევის შემთხვევებზე ვრცელდება. სახალხო დამცველმა საკუთარ მიმართვაში ამ საკითხზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, ის ფაქტი, რომ პანსიონში იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნები, როგორც უკვე აღნიშნა, დადასტურებულია და სადავო არაა. ამასთანავე, მართალია, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი ორგანიზაციას, ა(ა)იპ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სპეციალური მოსარჩელის სტატუსს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით ანიჭებს, სპეციალური სტატუსის მქონე მოსარჩელის მხრიდან, განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგზე, საკითხისადმი ფორმალური მიდგომა იქნებოდა, რადგან მონიტორინგის ჩატარების შემთხვევაში, სახალხო დამცველი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს პანსიონში მყოფი ყველა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობას.

შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ საფრთხის შემცველად შეაფასა პანსიონში არსებული ზოგადი მდგომარეობა და მისი გადაწყვეტილება, არ შეიძლება იმგვარად გავიგოთ, რომ ეს საფრთხე მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ეხებათ.[60] საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციის, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სპეციალური მოსარჩელის სტატუსის შესაბამისად, სასამართლო, შეზღუდული იყო გადაწყვეტილება მიეღო პანსიონში მცხოვრებ ყველა ბენეფიციარზე.

[60] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 05/06/2021, წყარო: https://bit.ly/3uIAkvM [ბოლოს ნანახია: 06/10/2021].

პოზიციის დოკუმენტში პირდაპირ აღინიშნა, რომ პანსიონში არსებული მდგომარეობა არათუ არ შეესაბამება არასრულწლოვანთა ინტერესებს და არსებულ სტანდარტებს, საფრთხის შემცველია ბავშვებისთვის ძალადობისგან დაცვის, სრულფასოვანი განვითარების, სოციალიზაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაც, არასამთავრობო ორგანიზაციის, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", სარჩელზე ა(ა)იპ ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონიდან" არასრულწლოვნების გამოყვანასთან დაკავშირებით, ცალსახად მიუთითებს იმ რეალურ რისკსა და საფრთხეზე, რომელიც დაწესებულებაში ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით არსებობდა და სახელმწიფო უწყებების მხრიდან დროულ და კოორდინირებულ მოქმედებას საჭიროებდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2021 წლის პირველი ნოემბრის გადაწყვეტილებით, ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლითაც დაუყოვნებლივ უნდა გამოეყვანათ ნინოწმინდის პანსიონიდან ის ბავშვები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი ჰქონდათ. როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის 5 ივნისის მოცემულობით, პანსიონში ირიცხებოდა ორი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი, რომელთაგან, ერთის სახელმწიფო ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანა მოხდა, მხოლოდ, 2021 წლის 24 სექტემბერს, ხოლო, სტატუსის მქონე მეორე ბავშვის, 2021 წლის 22 ნოემბრის მონაცემებით, კვლავ ირიცხება და ცხოვრობს პანსიონში, რაც გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას.

საერთაშორისო სამართლებრივი დავები
გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტი

მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველის რწმუნებულებს 2021 წლის 15 აპრილს არ მიეცათ ნინოწმინდის პანსიონში შესვლის შესაძლებლობა, 2021 წლის 5 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციამ, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", საჩივრით ასევე მიმართა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს. 2021 წლის 7 მაისს კომიტეტმა გამოსცა დროებითი ღონისძიება, რომლითაც სახელმწიფოს ნინოწმინდის პანსიონში შესაბამისი უწყების მიერ მონიტორინგის ჩატარების უზრუნველყოფა დაავალა.[61]

2021 წლის 24 მაისს საქართველოს სახალხო დამცველმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტს (CRC) მიმართა და ორგანიზაციის, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის", 2021 წლის 5 მაისის საჩივრის საფუძველზე, ინფორმაციის წარდგენის მიზნით, ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრებ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კომიტეტის წარმოებაში არსებულ საქმეში ჩართვა მოითხოვა. 2021 წლის 16 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველმა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისგან, კორესპონდენციით, საქმეში ჩართვის უფლებამოსილება მიიღო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ დროებითი ღონისძიებების გამოცემა, რომლითაც სახელმწიფოს მოუწოდა დაუყოვნებლივ უზრუნველეყო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება, ცალსახად მიუთითებს

[61] წყარო: https://bit.ly/3DfSHeJ [ბოლოს ნანახია: 04/10/2021].

დაწესებულებაში ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ რეალურ რისკსა და საფრთხეზე.[62] ზოგადად, დროებითი ღონისძიებების გამოცემის მთავარი მიზანი იმ უფლებების, ინტერესებისა და მდგომარეობის დაცვაა, რომელსაც, შესაძლებელია, გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს. ეს ღონისძიებები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სრულდება და მათი ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან ღონისძიებების დროულ გატარებაზე.

აღსანიშნავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომუნიკაციაც, სადაც პირდაპირ არის მითითებული, რომ სახალხო დამცველს უნდა მიეცეს არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა.[63]

სახალხო დამცველმა, 2021 წლის 15 სექტემბერს კომიტეტისთვის გაგზავნილ საკუთარ მოსაზრებაში ნინოწმინდის პანსიონში ბავშვის უფლებათა დარღვევებზე და სახელმწიფო უწყებების მხრიდან გადადგმული ღონისძიებების არაეფექტიანობაზე ისაუბრა. კომუნიკაციაში დეტალურად აღიწერა წლების განმავლობაში პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები, ბავშვზე ზრუნვის კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები და დაწესებულებაში ამჟამად არსებული მდგომარეობა. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო უწყებების არაკოორდინირებულ და დაგვიანებულ მოქმედებაზე, როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლების, ისე სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის დაწესებულებაში შესვლის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სახალხო დამცველის აპარატმა კომუნიკაციაში ნინოწმინდის პანსიონიდან არასრულწლოვანთა გამოყვანის, ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრაციის ან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანის მნიშვნელობის და ამ პროცესის გაჭიანურების შესახებაც იმსჯელა.

გაერთანებული ერების წამების პრევენციის ქვეკომიტეტი

2021 წლის 8 ივნისს სახალხო დამცველმა ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით წერილობით მიმართა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტს (SPT) და პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის, სავარაუდო წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების განხილვა ითხოვა.

სახალხო დამცველმა გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტთან გაგზავნილ კორესპონდენციაში დეტალურად აღწერა ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში წლების განმავლობაში გამოვლენილი დარღვევები. წერილში საგანგებოდ მიეთითა დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე, რომლებზეც მიმდინარეობს გამოძიება. სახალხო დამცველმა კომიტეტს ასევე მიაწოდა ინფორმაცია პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო არაადამიანური და წამებასთან გათანაბრებული მოპყრობის შესახებ.

[62] Rules of procedure under the Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure, Rule 7.

[63] Petitions and Urgent Actions Section, Communication, 10 May, 2021.

7. პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების უფლებრივი მდგომარეობა

სახალხო დამცველის აპარატი შეისწავლის ნინოწმინდის პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების მდგომარეობას. ამჟამად, დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში სულ 12 არასრულწლოვანია გადაყვანილი, ზრუნვის სხვა ფორმაში კი, 22 აღსაზრდელი განთავსდა. ნინოწმინდის პანსიონიდან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილი არასრულწლოვნებიდან 15 გადაყვანილია მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ხოლო 7 - მინდობით აღმზრდელ ოჯახთან.

თავად სახალხო დამცველი და მისი რწმუნებულები, ფსიქოლოგის მონაწილეობით, უკვე შეხვდნენ 30-მდე არასრულწლოვანს, რომლებმაც დატოვეს ნინოწმინდის პანსიონი. შეხვედრების ფარგლებში მიმდინარეობს გასაუბრება არასრულწლოვნებთან, მათ სოციალურ მუშაკებთან და ამჟამინდელ აღმზრდელებთან. ამის მიხედვით ფასდება არასრულწლოვნების საცხოვრებელი გარემო, მათზე გაწეული მზრუნველობა და მათი მდგომარეობა, მათ შორის, ფსიქოემოციური მდგომარეობა.

ნინოწმინდის პანსიონიდან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილი ბავშვების საჭიროებები

არასრულწლოვნებთან და მათ სოციალურ მუშაკებთან გასაუბრების შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელებს მძიმე, ტრავმული გამოცდილება აქვთ. ბავშვები იმყოფებოდნენ ძალადობრივ გარემოში, იზრდებოდნენ არასათანადო პირობებში, არ შეუსწავლიათ მათი განვითარების, ჯანმრთელობის მდგომარეობა, არც სათანადო ღონისძიებები გაუტარებიათ ამის საფუძველზე, დაკმაყოფილებული არ ყოფილა ბავშვების საბაზო საჭიროებები, არასრულწლოვნები არც დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოუმზადებიათ. ყოველივე ეს მიუთითებს იმ უარყოფით კვალზე, რომელსაც ინსტიტუციური მოწყობის საალმზრდელო დაწესებულებები ტოვებენ არასრულწლოვნების მდგომარეობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, სახელმწიფომ დროულად გადადგას ყველა ნაბიჯი და მიმართოს ყველა სათანადო ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს აღსაზრდელების იმ ინსტიტუციური გარემოდან დროულად გაყვანას, სადაც ისინი, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდნენ ძალადობას და არასათანადო მოპყრობას. მნიშვნელოვანია, ყველა უწყებამ კოორდინირებულად უზრუნველყოს ბავშვების უსაფრთხო და საიმედო გარემოში ცხოვრება. ასევე აუცილებელია, პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებთან დამატებით ინტენსიური მუშაობა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად, ფსიქოემოციური მდგომარეობის შესასწავლად და, საჭიროების შემთხვევაში, სარეაბილიტაციოდ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნინოწმინდის პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების განათლების ხელშეწყობა, მათი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება.

ნინოწმინდის პანსიონიდან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილ ბავშვებთან გასაუბრების და მათთან მუშაობის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მნიშვნელოვანია მათი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება, სტატუსის მინიჭების საჭიროების განსაზღვრა, თუმცა ეს ამ დრომდე არ გაკეთებულა. ამასთან, მნიშვნელოვანია, ზრუნვის ახალ ფორმებში ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა და, ამ მხრივ, მათი საჭიროებების გამოვლენა და დაკმაყოფილება.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ შემთხვევაში, არასრულწლოვნებისთვის, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფო ზრუნვის ფორმის ცვლილებისას, არ მოხდა ბავშვების მათზე მორგებულ გარემოში განთავსება, სადაც მათთან მომუშავე პირებს გავლილი

ექნებოდათ შესაბამისი გადამზადება, რამაც გამოიწვია აღსაზრდელთა რთული ქცევის მართვასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემები.

ნინოწმინდის პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების პროცესი

როგორც უკვე აღინიშნა, გარკვეული პერიოდი, არასრულწლოვნების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ნინოწმინდის პანსიონში ირიცხებოდა, ბიოლოგიურ ოჯახში ან სხვა გამყვან პირთან გადავიდა საცხოვრებლად. ხოლო, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო მათ რეინტეგრაციაზე მუშაობდა. თუმცა, რეინტეგრაციის განხორციელების პროცესში არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებასთან და მის უზრუნველყოფასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, სწორედ, ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებას და მხარდაჭერას როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კომპონენტების გათვალისწინებით, რათა მათ რათა შეძლონ უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა, სადაც დაკმაყოფილებული იქნება ბავშვის განვითარებისთვის საჭირო პირობები. მათ შორის, მნიშვნელოვანია, მოხდეს ოჯახის წევრთა ინფორმირება დეინსტიტუციონალიზებული და ძალადობა განცდილი ბავშვების ქცევით თავისებურებებზე და მათთან სწორი კომუნიკაციისა და აღზრდის პოზიტიურ ფორმებზე. სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესი საკმაოდ პრობლემურია, როგორც ბიოლოგიური ოჯახების მზაობის, ასევე, სახელმწიფოში არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე ორიენტირებული სერვისების სიმწირის გათვალისწინებით. რის საფუძველზეც, ქვეყანაში, გამოწვევას წარმოადგენს ბავშვების რეინტეგრაციის საკითხი, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ნინოწმინდის პანსიონისდან ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით.

სახალხო დამცველის აპარატი აკვირდება ამ პროცესს. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნინოწმინდის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციით, დაგეგმილი არ ყოფილა გამყვან პირთან, ოჯახში მყოფი ბავშვების ნინოწმინდის პანსიონში დაბრუნება. მიუხედავად ამისა, 2021 წლის ივლისში ერთი არასრულწლოვანი ნინოწმინდის პანსიონში დაბრუნდა. ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდა ბიოლოგიური ოჯახის სათანადოდ გაძლიერება, რათა მას არასრულწლოვანზე სრულფასოვნად ზრუნვა შეძლებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ სახალხო დამცველის რწმუნებულები, არასრულწლოვნის მდგომარეობის შესასწავლად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში იმყოფებოდნენ და სოციალურმა მუშაკმა მხოლოდ ამ ვიზიტის საფუძველზე დაადგინა, რომ დედამ მისი ინფორმირების გარეშე, არასრულწლოვანი ნინოწმინდის პანსიონში გაუშვა. 2021 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული მონიტორინგის დროს გაირკვა, რომ ნინოწმინდის პანსიონში კიდევ ერთი არასრულწლოვანი დაბრუნდა ოჯახიდან.

8. პანსიონში ამჟამად მცხოვრები არასრულწლოვნების მდგომარეობა და მათთვის ზრუნვის ალტერნატიული ფორმის განსაზღვრა

2021 წლის 22 ნოემბრის მონაცემებით, ნინოწმინდის პანსიონში ირიცხებოდა 17 არასრულწლოვანი, ხოლო დაწესებულებაში ფიზიკურად ცხოვრობდა 15 აღსაზრდელი. სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები მუდმივ რეჟიმში იმყოფებიან დაწესებულებაში და ახორციელებენ ბენეფიციარების საჭიროებების შეფასებას, მათ შორის, ბავშვების ბიოლოგიურ

ოჯახში დაბრუნების და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში გადაყვანის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ფარგლებში პანსიონის წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციით, იგეგმება დაწესებულების აღმზრდელთა გადამზადება, რომლის შემდეგაც ისინი ჩააბარებენ გამოცდებს და პანსიონში საბოლოოდ მხოლოდ ამის საფუძველზე დასაქმდებიან. ამასთანავე, ნინოწმინდის პანსიონის ახალი ხელმძღვანელობა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცირე საოჯახო ტიპის სახლების აშენებას გეგმავს. არსებული შენობა გამოყენებულ იქნება, როგორც სკოლისგარეშე განათლების დაწესებულება ნინოწმინდაში მცხოვრები ახალგაზრდების განათლების ხელშესაწყობად. მიუხედავად ამისა, 2021 წლის 22 ნოემბერს ჩატარებული მონიტორინგისას, აღმზრდელთა გადამზადების პროცესი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული და დაწესებულების თანამშრომელს არ ჰქონდა ინფორმაცია, როდის დაიწყებდნენ მათ გადამზადებას.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნინოწმინდის პანსიონთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ, სწრაფად მოხდა აღსაზრდელების თითქმის ნახევრის პანსიონიდან გამოყვანა. თუმცა, შემდგომი თითქმის ექვსთვიანი ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ყველა არასრულწლოვნის გამოყვანა იმ გარემოდან, რომელიც თავისი ფიზიკური და ინსტიტუციური მოწყობით არ შეესაბამება არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესებს. ამასთანავე, დაუშვებელია ბავშვების იმ გარემოში ყოფნა, სადაც მათზე სავარაუდოდ ხორციელდებოდა ძალადობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ-ერთი არასრულწლოვანი, 2021 წლის სექტემბერში შედგენილი ინდივიდუალური განვითარების გეგმის თანახმად, გამოხატავს ზრუნვის შეცვლის მზაობას და სურვილს. თუმცა, ბავშვი ამ დრომდე პანსიონში რჩება.

აუცილებელია, დაუყოვნებლივ, მულტიდისციპლინური მიდგომით შფასდეს თითოეული აღსაზრდელის და მისი ოჯახის მდგომარეობა. უპირატესად განსახილველი საკითხი უნდა იყოს ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება და საჭიროებისამებრ, ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება, ხოლო, ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ზრუნვის სხვა, ოჯახთან მიახლოებულ ფორმაში გადაყვანა. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების პანსიონიდან გამოყვანისა და ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების პროცესი მიმდინარეობდეს არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისა და ინტერესების მაქსიმალური დაცვით, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბავშვების ფსიქოემოციური მდგომარეობის გამწვავება.

დასკვნა

ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონთან დაკავშირებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადყო დიდი ზომის, ინსტიტუციური მოწყობის სააღმზრდელო დაწესებულებების ის მანკიერი ბუნება, რომელსაც დამანგრეველი გავლენა აქვს არასრულწლოვანზე. განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ მსგავს, ჩაკეტილი ტიპის დაწესებულებებში ძალიან რთულია ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენა. სახელმწიფო უწყებების არაეფექტიანი მუშაობის შედეგია ის გარემოება, რომ მსგავსი ტიპის დაწესებულებებში მცხოვრებ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვნებს

არათუ არ აქვთ ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაცია საკუთარ სოციალურ მუშაკებთან, არამედ თვეების განმავლობაში არ აქვთ მათთან რაიმე ფორმის კონტაქტი.[64]

შესაბამისად, სახელმწიფო, რომელსაც, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით აკისრია უპირველესი ვალდებულება, დაიცვას სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნები ყველა ფორმის ძალადობისგან და შეუქმნას მათ ცხოვრების სათანადო პირობები, უზრუნველყოს მათი განვითარება და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება, ხშირად, ინფორმირებულიც კი არ არის იმ საჭიროებების შესახებ, რაც შეიძლება პანსიონში მცხოვრებ ბავშვს ჰქონდეს. სავალალოა ის გარემოებაც, რომ მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო უწყებები ვერ ახერხებენ დროულ და კოორდინირებულ მოქმედებას არასრულწლოვანთა დაცვის მინიმალური გარანტიების შესაქმნელად. სახელმწიფო უწყებები თვეების განმავლობაში არ შესულან ლიცენზირებულ სააღმზრდელო დაწესებულებაში და ამას რაიმე ერთობლივი, კოორდინირებული ქმედითი რეაგირება არ მოჰყოლია. განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად მიუთითებდა დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე და იმ გარემოებაზე, რომ ბავშვების უსაფრთხოებისა და განვითარების კუთხით რეალური საფრთხე იდგა.

როგორც საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა მიუთითებს და სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხის შესწავლამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, არასრულწლოვნების ა(ა)იპ ჯავახეთის ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში ცხოვრებაც კი არის სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვების უფლებების დარღვევა, არ შეესაბამება მათ ინტერესებს და სახელმწიფო უწყებების მხრიდან ბავშვზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფის კუთხით არაეფექტიანი პოლიტიკის მაგალითია.

სახელმწიფო ვალდებულია, დახუროს დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებები და ჩაანაცვლოს ისინი ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მინდობით აღზრდისა და ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით. თუმცა, მიუხედავად არაერთი გამოწვევისა და ბავშვის ინტერესებთან აშკარა შეუსაბამობისა, სახელმწიფოს ჯერაც არ აქვს შემუშავებული დეინსტიტუციონალიზაციის კონკრეტული გეგმა. გარდა ამისა, საკითხზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახება ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების და არასრულწლოვნისა და მისი ოჯახის მხარდაჭერაზე, გაძლიერებასა და, საჭიროებისამებრ, რეაბილიტაციაზე ორიენტირებული სერვისების სიმცირე. ეს შეუძლებელს ხდის არა მხოლოდ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური საჭიროებების დროულ შეფასებასა და გამოვლენას, არამედ განსაკუთრებით ართულებს გამოვლენილი გამოწვევების აღმოფხვრას.

სახალხო დამცველი განაგრძობს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ აღსაზრდელთა საჭიროებების შეფასების, მათ შორის, ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების და, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ალტერნატიული ზრუნვის ფორმაში გადაყვანის პროცესის მჭიდრო მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, გრძელდება შეხვედრები ნინოწმინდის პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებთან და მათი საჭიროებების შესწავლა. სახალხო დამცველის აპარატი უახლოეს მომავალშიც გეგმავს არაერთ ვიზიტს ნინოწმინდის პანსიონში, იქ არსებული

[64] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ფერიის პანსიონში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ.

მდგომარეობის სრულფასოვნად შესასწავლად, არასრულწლოვანთა საჭიროებების შესაფასებლად და დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე დასაკვირვებლად.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დაჩქარებულ ვადებში შემუშავდეს და დამტკიცდეს დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და გეგმა.

საქართველოს გენერალურ პროკურატურას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს[65]

- პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილ სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე წარმოებული ყველა საქმე ერთ წარმოებად გაერთიანდეს
- დაზუსტდეს კვალიფიკაცია და გამოძიება პანსიონში ბავშვების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე წარიმართოს სსკ-ის 144[3] მუხლით, ასევე, პანსიონში არასრულწლოვანთა მიმართ სავარაუდო სექსუალური ძალადობის ფაქტებზე გამოძიება წარიმართოს 137-ე, 138-ე და 141-ე მუხლებით
- პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის საქმეები არ გამოიძიოს ნინოწმინდის რაიონულმა სამმართველომ და ახალციხის პოლიციის დეპარტამენტმა და გამოსაძიებლად გადაეცეს შსს-ს სხვა სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულს. პარალელურად, შეიცვალოს ზედამხედველი პროკურორი
- ამოღებული და გამოთხოვილი იქნას პანსიონის ფუნქციონირების სრულ პერიოდში პანსიონში, ასევე, სხვა უწყებებში (სახელმწიფო მზრუნველობის ორგანო, „სსიპ -112" და სხვა) არსებული სრული დოკუმენტაცია პანსიონის ყველა აღსაზრდელი ბავშვის, თანამშრომლის შესახებ, სამედიცინო ხასიათის ჩანაწერი და საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი
- განხორციელდეს ნინოწმინდის მე-4 საჯარო სკოლიდან პანსიონის ბავშვების შესახებ ყველა ჩანაწერის ამსახველი, საქმისთვის მნიშვნელოვანი, სრული დოკუმენტაციის მოპოვება (ამოღება ან გამოთხოვა), მათ შორის, სამედიცინო ჩანაწერების, კლასელების და მასწავლებლების ვინაობის შესახებ
- გამოიკითხოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მქონე ყველა ზემოხსენებული პირი, კერძოდ, პანსიონის ფუნქციონირების სრულ პერიოდში მისი ყველა აღსაზრდელი, თანამშრომელი და ხელმძღვანელი (სასულიერო თუ საერო პირი) პირები, ბავშვების მშობლები, მასწავლებლები, კლასელები, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, ვისაც ბავშვებთან შეხება ჰქონდა
- გამოსაკითხ პირებს დაესვათ დეტალური შეკითხვები ფაქტებთან დაკავშირებით, ასევე, ფლობენ თუ არა სავარაუდო დანაშაულის ფაქტის ამსახველ დოკუმენტს რაიმე ფორმით (წერილობითი, აუდიო, ფოტო, ვიდეომასალის სახით)

---

[65] ნინოწმინდის პანსიონის აღსაზრდელთა მიმართ სავარუდო ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის სისხლის სამართლის ოთხივე საქმის სრული მასალების გაცნობის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევების საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა 2021 წლის 7 დეკემბერს №15-5/11525 წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას. ანგარიშში არასრულწლოვანთა კონფიდენციალობის დაცვისა და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მოცემულია საქმეების გაცნობისას გამოკვეთილი პრობლემური საკითხებისა და ამის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების მხოლოდ ნაწილი.

- გამოძიების ფარგლებში გამოიკითხონ პანსიონის ხელმძღვანელი პირები (საერო და სასულიერო) და დაესვათ შეკითხვები, დაადგინეს თუ არა დასჯის და მოპყრობის მეთოდები, ან/და იცოდნენ თუ არა მოპყრობისა და დასჯის მეთოდების შესახებ, ემხრობოდნენ თუ არა აღზრდის ამგვარ მეთოდებს, მიმართეს თუ არა და რა სახის ღონისძიებებს, ამგვარი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, ასევე, აცნობეს თუ არა საგამოძიებო ორგანოს
- გატარდეს დაცვის ღონისძიებები, მათ შორის, ფიზიკური უსაფრთხოების, სავარაუდო მოძალადისგან, მათ შორის, სავარაუდო ძალადობრივი გარემოსგან (ნინოწმინდის პანსიონი) განცალკევების, რათა არასრულწლოვნებმა შეძლონ თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, ისაუბრონ დაწესებულებაში მომხდარ ფაქტებზე
- ყველა არასრულწლოვნის გამოკითხვას ესწრებოდეს საპროცესო/კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი და ადვოკატი
- უზრუნველყოფილ იქნეს პანსიონის ყოფილ და ახლანდელ აღსაზრდელებთან მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა
- საქმეზე საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობას ჩამოშორდეს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ნინოწმინდის წარმომადგენლობითი ერთეულის სოციალური მუშაკი
- დაინიშნოს პანსიონის ყოფილი და მოქმედი აღსაზრდელების სასამართლო-სამედიცინო (დაზიანების კვალის ან სამედიცინო ჩანაწერის არსებობის) და ფსიქოლოგიური ექსპერტიზები
- გამოძიების მიმდინარეობისას სამართალდამცავმა უწყებებმა ითანამშრომლონ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან, მათ შორის, არასრულწლოვნის დაცვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ღონისძიებების გასატარებლად რეფერირების კუთხით
- შესაძლო სექსუალური ძალადობის ფაქტზე, ობიექტური გარემოებების დასადგენად, გამოძიება წარიმართოს სტერეოტიპებისა და წინასწარი განწყობებისგან თავისუფალი მიდგომით. ამ მხრივ, აუცილებელია, გამოიყენებოდეს „სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელოში“ ასახული პრინციპები
- გამოძიების შედეგების შესახებ ინფორმაცია, გამოძიების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, მიეწოდოს საზოგადოებას, ყოველ 3 თვეში ერთხელ.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- დაუყოვნებლივ მოხდეს ნინოწმინდის პანსიონში ამჟამად მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნის ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანა, მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად
- მოხდეს ერთ-ერთი აღსაზრდელის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ასახული სავარაუდო ძალადობის ფაქტებისა და აღნიშნულის შესახებ ბავშვის გამოკითხვაზე მზაობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შესაბამისად, გადამისამართება სამართალდამცავ უწყებასთან, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უკვე არ განხორციელებულა

- შეფასდეს ნინოწმინდის პანსიონში ჩარიცხული, მაგრამ ფაქტობრივად გამყვან პირთან, ბიოლოგიურ ოჯახში მყოფი არასრულწლოვნების, მათი ოჯახების საჭიროებები და უზრუნველყოფილი იქნეს მათი მხარდაჭერა ბავშვების ნინოწმინდის პანსიონში დაბრუნების თავიდან ასარიდებლად
- ბიოლოგიურ ოჯახებში რეინტეგრირებულ არასრულწლოვანთათვის ყოველმხრივ უსაფრთხო და მათ საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისი გარემოს უზრუნველსაყოფად, დროულად და მულტიდისციპლინური მიდგომით, მოხდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შეფასება და აღნიშნულის საფუძველზე, გაგრძელდეს ოჯახების გაძლიერებაზე ზრუნვა, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კომპონენტების გათვალისწინებით. მათ შორის, მნიშვნელოვანია, მოხდეს ოჯახის წევრთა ინფორმირება დეინსტიტუციონალიზებული ბავშვების ქცევით თავისებურებებზე და მათთან სწორი კომუნიკაციის ფორმებზე
- დროულად შეფასდეს პანსიონში ამჟამად მცხოვრები არასრულწლოვნების მდგომარეობა, მოხდეს მათი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზრუნვის სხვა, ოჯახთან მიახლოებულ ფორმაში გადაყვანა
- დროულად შეფასდეს პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების ინდივიდუალური, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები
- შეფასდეს პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების ფსიქოემოციური მდგომარეობა და გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნეს არასრულწლოვნებთან შესაბამისი სპეციალისტის ინდივიდუალური და განგრძობითი ჩართულობა
- შეფასდეს პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების ფსიქოემოციური მდგომარეობა და უზრუნველყოფილი იქნეს მათთან შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა
- ნინოწმინდის პანსიონიდან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობის სრულყოფილად უზრუნველყოფის მიზნით, დროულად და მულტიდისციპლინური მიდგომით მოხდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მათთვის სათანადო სერვისების შეთავაზება
- მოხდეს პანსიონიდან ზრუნვის სხვა ფორმაში გადაყვანილ ბავშვებთან ჩართული აღმზრდელების გადამზადება, აღსაზრდელთა რთული ქცევის და ემოციური სირთულეების გამწვავების პრევენციისა და მართვის საკითხებზე, ასევე, არასრულწლოვნებთან მუშაობის კუთხით გამოვლენილი სხვა სპეციფიურ თემატიკაზე
- შეფასდეს პანსიონის ყოფილი აღსაზრდელების ინდივიდუალური საჭიროებები, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის საჭიროების განსაზღვრის მიზნით
- სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ნინოწმინდის ტერიტორიულ ერთეულში დაემატოს სოციალური მუშაკის ახალი კადრი, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს პანსიონში ამჟამად მცხოვრებ ბავშვებთან უფრო ეფექტიანი და ნდობაზე დაფუძნებული კომუნიკაციისთვის ხელშესაწყობად
- შეფასდეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე შესულ განცხადებაზე სააგენტოს მხრიდან განხორციელებული მოქმედებების დროულობა.